ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 ივლისი—აგვისტო 1968 წ.

10723.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

48. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 27 ივლისის № 467 დადგენილების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ.
49. საბჭოთა არმიის იმ მეომრებისათვის ქ. საჩხერეში ძეგლის აგების შესახებ, რომლებიკ დიდი სამამულო ომის წლებში დაიღუპნენ.
50. „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 ნოემბრის № 777 დადგენილების მე-20 პუნქტის შეცვლის თაობაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

51. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
52. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო მეურნეობებისა და სამრეწველო საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ.
53. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 20 მაისის № 352 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.
54. რესპუბლიკური სამინისტროების, უწყებების, სამრეწველო საწარმოებისა და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის გეგმის დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

55. საქართველოს სს რესპუბლიკაში სამონადირეო მეურნეობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
56. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ.
57. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 მაისის № 292 დადგენილების გაუქმების შესახებ.
58. მრავალწლიანი და ერთწლიანი საკვები ბალახების ელიტური და რეპროდუქციული თესლის შესასყიდი და გასაცემი ფასების დაწესების შესახებ.
59. საქართველოს სსრ სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ.
60. კარანტინის ადგილებიდან მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე გამოყვანილი სარგავი და სანამყენე მასალის გატანის აკრძალვის შესახებ.
61. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების იურიდიული მომსახურების შესახებ.
62. საქართველოს სს რესპუბლიკაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხობის რესპუბლიკური კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.
63. „საქართველოს სსრ წარჩინებული რაზმელის" სამკერდე ნიშნის დაწესების შესახებ.
64. ხელფასის მინიმალური ოდენობის თვეში 60 მანეთამდე გადიდებასთან დაკავშირებით კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ამაღლების შესახებ.
65. საქართველოს სს რესპუბლიკაში წიგნის მუდმივმოქმედი ლატარიის ჩატარების შესახებ.
66. საქართველოს საზღვაო ნაოსნობის ახალი ტანკერისათვის ნ. ბარათაშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ.
67. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 2 აგვისტოს № 928 დადგენილების გაუქმების შესახებ.
68. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 თებერვლის № 87 დადგენილების I პუნქტის მოქმედების ვადის 1968—1970 წლებისათვის გაგრძელების შესახებ.
69. მუშა-მოსამსახურეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი პირადი დაზღვევის შენატანების უნაღდო ანგარიშსწორების წესით გადახდის შესახებ.
70. საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგი დაცვის სამინისტროს არასრულწლოვანთა შრომითს კოლონიებთან არსებული საზოგადოებრიობის საბჭოების დებულების დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

48 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 27 ივლისის № 467 დადგენილების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 27 მაისის № 379 დადგენილებისა „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ სსრ კავშირის კანონთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების თაობაზე“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს პუნქტი 10 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 27 ივლისის № 467 დადგენილებისა „საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლიბითი საზოგადოების ორგანიზაციათა მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **პ. როდიონოვი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 30 ივლისი, № 421.

49 საბჭოთა არმიის იმ მეომრებისათვის ქ. საჩხერეში ძეგლის აგების შესახებ, რომლებიც დიდი სამამულო ომის წლებში დაიღუპნენ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაკმაყოფილდეს საჩხერის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა ქ. საჩხერეში საბჭოთა არმიის იმ მეომრებისათვის ძეგლის აგების შესახებ, რომლებიც დიდი სამამულო ომის წლებში დაიღუპნენ.

2. ძეგლის აგება განხორციელდეს საჩხერის რაიონის ბიუჯეტით გასავალზე შემოსავლის გადამეტების სახსრების ხარჯზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოს საჩხერის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შეათანხმოს ძეგლის პროექტი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
პ. როდიონოვი.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
გ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1968 წ. 13 აგვისტო, № 445.

50 „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 ნოემბრის № 777 დადგენილების მე-20 პუნქტის შეცვლის თაობაზე

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 15 ივლისის № 542 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

„მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 ნოემბრის № 777 დადგენილების მე-20 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„20. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა მთელი მოგება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, რომლებშიაც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობა შეადგენს პროდუქციის, სამუშაოთა და მომსახურების საერთო მოცულობის 85 და მეტ პროცენტს, აგრეთვე მოგება, რაც მიღებულია საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევისაგან,—მოახმაროს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოქმედი საწარმოების გაფართოებას, ახალი საწარმოების მშენებლობას და მათთვის მოწყობილობის შეძენას კაპიტალურ სამუშაოთა დამტკიცებული გეგმების გადამეტებით და მათი საბრუნავი სახსრების შევსებას (იმ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების გარდა, რომელიც გადაირიცხება საწარმოს ფონდში, აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშაკთა საცხოვრებელი ბინებისა და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობისათვის)".

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
პ. როდიონოვი.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
გ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1968 წ. 13 აგვისტო, № 448.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

51 საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 13 მარტის № 159 დადგენილება „საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 1 ივლისი, № 339.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 1 ივლისის № 339
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, არის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში ემორჩილება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროსაც.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო ხელმძღვანელობას უწევს საფოსტო, სატელეგრაფო, სატელეფონო კავშირს და საერთო სარგებლობის რადიოკავშირს, რადიომაუწყებლობის, რადიოფიკაციისა და ტელევიზიის ტექნიკურ საშუალებებს და პერიოდული პრესის გავრცელებას რესპუბლიკაში.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო პასუხისმგებელია საერთო სარგებლობის ყველა სახეობის კავშირგაბმულობის, რადიომაუწყებლობის, რადიოფიკაციისა და ტელევიზიის ტექნიკურ საშუალებათა მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის რესპუბლიკაში, პერიოდული პრესის გავრცელების მოწყობისათვის, ამ დარგში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისათვის, კავშირგაბმულობის მომსახურების ხარისხისა და იმისათვის, რომ უფრო სრულად და შეუფერხებლივ დაკმაყოფილდეს რესპუბლიკის მოთხოვნილებანი კავშირის საშუალებებსა და მომსახურებაზე.

2. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მთავარი ამოცანაა:

ყოველმხრივ განავითაროს საერთო სარგებლობის ყველა სახეობის კავშირი, როგორც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემადგენელი ნაწილი, იმ მიზნით, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის, სახალხო მეურნეობისა და ქვეყნის თავდაცვის მოთხოვნილებანი ამ კავშირზე;

პერიოდული პრესის გავრცელება, ექსპედირება და მიტანა;

სახელმწიფო გეგმის შესრულება და სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვა;

კავშირგაბმულობის საშუალებათა გარკვეული და შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა და პერიოდული პრესის გავრცელება საზოგადოებრივი შრომის მინიმალური დანახარჯებით, მომსახურების კულტურის ამაღლება, ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და საფინანსო რესურსების გამოყენების გაუმჯობესება;

ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარება კავშირგაბმულობის საშუალებათა შექმნისა და შემდგომი განვითარების საქმეში, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, მუშაობის მოწინავე გამოცდილების დანერგვა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეადგენს დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით რესპუბლიკაში ელექტროკავშირის, რადიომაუწყებლობის, რადიოფიკაციისა და ტელევიზიის ავტომატიზებული ქსელის განვითარების სქემებს, ქვეყნის კავშირგაბმულობის ერთიანი ავტომატიზებული ქსელის შესაბამისად, აგრეთვე სამინისტროს წლიურ და პერსპექტიულ გეგმებს, წარუდგენს ამ გეგმებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს.

— უზრუნველყოფს:

დაწესებული გეგმების შესრულებას სამინისტროს სისტემის ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების მიერ;

საერთო სარგებლობის კავშირგაბმულობის საშუალებათა ექსპლუატაციას და დადგენილი წესით განახორციელებს კონტროლს კავშირგაბმულობის იმ საშუალებათა ექსპლუატაციისადმი, რომლებიც იმყოფებიან სხვა სამინისტროების, უწყებების, ცალკეული საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მოქალაქეთა გამგებლობაში;

კონტროლს გაუწევს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის წესდების მოთხოვნების შესრულებას ყველა საწარმოსა, ორგანიზაციისა და დაწესებულების მიერ, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად;

— განიხილავს დავალებებს, რასაც მას დადგენილი წესით წარუდგენენ შესათანხმებლად, კავშირგაბმულობის იმ მოწყობილობათა დაპროექტების შესახებ, რომლებიც შეიძლება შევიდეს კავშირგაბმულობის ერთიან ავტომატიზებულ ქსელში;

ხელმძღვანელობას გაუწევს მუშაობას გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში, შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ახალი ტექნიკის, გამოგონებებისა და ტექნიკური გაუმჯობესების დანერგვა, საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია; უზრუნველყოფს სახელმწიფო სტანდარტების და უწყებრივი ტექნიკური პირობების შესრულებას ქვესაუწყებო საწარმოების მიერ; შეიმუშავებს ელექტროენერგიის, სათბობისა და მასალების ხარჯვის შემცირების ღონისძიებებს და განახორციელებს კონტროლს ამ ღონისძიებათა შესრულებისადმი; მოაწყობს და ჩაატარებს მუშაობას ტექნიკური პროპაგანდის დარგში;

— მოაწყობს პერიოდული პრესის გავრცელებას, ექსპედირებას და მიტანას ხელმოწერით და მის გაყიდვას „სოიუზპეჩატის“ საცალო ქსელის მეშვეობით, განახორციელებს ღონისძიებებს ფილატელიის განვითარებისათვის რესპუბლიკაში;

— მონაწილეობას მიიღებს იმაში, რომ შესაბამისმა ორგანოებმა გაანაწილონ საკაბელო პროდუქციის რესურსები და კავშირგაბმულობის მოწყობილობის ძირითადი სახეობანი საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს შორის;

— დანიშნავს დადგენილი წესით რადიოსიხშირეს, მისცემს სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს რესპუბლიკაში რადიოსადგურების შეძენისა და ექსპლუატაციის ნებართვებს; კონტროლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალურად გამოყენება და მათი ეფექტიანობის ამაღლება, მშენებლობის ვადებისა და ღირებულების შემცირება, საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების დროულად გადაცემა საექსპლუატაციოდ, აგრეთვე საწარმოო სიმძლავრეთა ათვისება მოკლე ვადებში;

შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, პირობების შექმნა მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების უკეთ გამოყენებისათვის, იმ ახალგაზრდა სპეციალისტთა დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, როგორც კარგმა მუშაკებმა;

სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და მათთვის შრომის უსაფრთხო პირობების შექმნა.

3. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო რესპუბლიკაში მისთვის მინდობილ დარგს ხელმძღვანელობას გაუწევს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კავშირგაბმულობის საწარმოო-ტექნიკური სამმართველოების და მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების სამმართველოს მეშვეობით.

4. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო თავის მუშაობას აწყობს იმგვარად, რომ დარგის ხელმძღვანელობისადმი ყველა საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში კოლეგიალობა და ერთმმართველობა შეუხამოს თანამდებობის პირთა ზუსტ პასუხისმგებლობას მუშაობის მინდობილ უბანზე საქმის მდგომარეობისა და განსაზღვრულ დავალებათა შესრულებისათვის.

5. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო, მისი ქვესაუწყებო და მისდამი დაქვემდებარებული აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კავშირგაბმულობის საწარმოო-ტექნიკური სამმართველოები, აგრეთვე რესპუბლიკური რადიოცენტრი, ფოსტამტი, ცენტრალური ტელეგრაფი, საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური, საქალაქო სატელეფონო ქსელის სამმართველო, „სოიუზპეჩატი“ და სხვა საწარმოები და ორგანიზაციები შეადგენენ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ერთიან სისტემას.

6. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ბრძანებებით, წესებითა და ინსტრუქციებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს სამინისტროს სისტემაში მოქმედი კანონმდებლობისა და შეთანხმებების სწორად გამოყენებას.

7. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეაუწევს რადიოგადამცემი სადგურებისა და რადიოსიხშირის გამოყენებას და ამ მოთხოვნების შესრულებას, რომლებიც უზრუნველყოფენ რადიომიღების ხელშემშლელი პირობების ჩახშობას;

— გახსნის, შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს დადგენილი წესით კავშირგაბმულობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა უზრუნველყოფის მიზნით.

კავშირგაბმულობის საწარმოების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საჭიროა შემთხვევებში სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროსთან შეთანხმებით;

— დადგენილი წესით, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, მიაკუთვნებს ჯგუფებს კავშირგაბმულობის საწარმოებს, ამასთან იხელმძღვანელებს დამტკიცებული მაჩვენებლებით კავშირგაბმულობის საწარმოთა და ორგანიზაციათა განაწილებისა შრომის ანაზღაურების ჯგუფების (კატეგორიების) მიხედვით ხელფასის დაწესებული ფონდის ფარგლებში;

— განახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების, აგრეთვე მოსახლეობის მიერ მინდობილ ფასეულობათა დაცვისათვის სამინისტროს სისტემის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

— განახორციელებს კაპიტალურ მშენებლობას სამინისტროს სისტემაში, უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანად გამოყენებას, ახალი მშენებლობის რაციონალურად განლაგებას, დარგის პროგრესულ წარმოებათა უპირატესობრივ განვითარებას, კაპიტალურ დაბანდებათა პირველ რიგში წარმართვას მოქმედი საწარმოების ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის, დარგთშორისი და შიდადარგობრივი პროპორციების გაუმჯობესებას, კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციას საექსპლუატაციოდ გადასაცემ მშენებლობებზე და დაუმთავრებელი მშენებლობის შემცირებას.

კაპიტალური მშენებლობა წარმოებს, როგორც წესი, საიჯარო საწყისებზე.

—უზრუნველყოფს დარგის ახალი საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის, მოქმედი საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების რეკონსტრუქციისა და გაფართოების დაპროექტების ტექნიკურ-ეკონომიურ დასაბუთებათა და დავალებათა შემუშავებას და დამტკიცებას;

— შეიმუშავებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით მშენებლობათა სატიტულო სიებს, აგრეთვე მომავალი წლების მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო-საძიებო სამუშაოების სატიტულო სიებს;

— განახორციელებს კონტროლს საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხისა და მშენებლობის დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვისადმი, აგრეთვე ტექნიკურ ზედამხედველობას გაუწევს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და მშენებარე ობიექტებისათვის მისაწოდებელი მოწყობილობის ხარისხს; მოაწყობს მშენებლობის საავტორო ზედამხედველობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უზრუნველყოფს მშენებლობათა დაფინანსებას და მათ მომარაგებას ისეთი მოწყობილობით, მასალებითა და ნაკეთობებით, რომელთა მიწოდება შემკვეთის მოვალეობას შეადგენს;

განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ ქვესაუწყებო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გაანაწილონ კაპიტალური მშენებლობისათვის საჭირო მოწყობილობა გამოყოფილი ფონდებისა და მისი შეძენის საფუძვლების შესაბამისად;

— შეიმუშავებს მშენებლობაში შინაგანი რესურსების მობილიზაციის ღონისძიებებს და განახორციელებს მათი შესრულებისადმი კონტროლს;

—დანიშნავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო კომისიებს იმ საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების მისაღებად საექსპლუატაციოდ, რომელთა მშენებლობა დამთავრებულია, დაამტკიცებს მათი მიღების აქტებს და მიიღებს გადაწყვეტილებებს შეჯამებულ სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებათა დახურვის შესახებ.

— მოაწყობს ძირითადი ფონდების კაპიტალურ რემონტს, უზრუნველყოფს მოწყობილობის მოდერნიზაციას, ტექნიკური დონისა და მწარმოებლურობის ამაღლებას, აგრეთვე შენობათა და ნაგებობათა ტექნიკური და საექსპლუატაციო მდგომარეობის გაუმჯობესებას; განახორციელებს ღონისძიებებს რემონტის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი გაიაფებისათვის;

— განსაზღვრავს სამინისტროს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების მოთხოვნილებას მასალებსა და მოწყობილობაზე, განაგებს სამინისტროსათვის გამოყოფილ მატერიალურ რესურსებს, პასუხს აგებს ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისათვის;

— განახორციელებს კონტროლს მასალებისა და მოწყობილობის ფონდების რეალიზაციისადმი, აგრეთვე იმისადმი, თუ რამდენად დროულად დადეს სამინისტროს სისტემის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ხელშეკრულებანი პროდუქციის მიწოდების შესახებ, და კონტროლს გაუწევს სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას;

— კონტროლს გაუწევს იმას, თუ რამდენად სწორად ინახავენ და იყენებენ სამინისტროს სისტემის საწარმოები და ორგანიზაციები მასალებსა და მოწყობილობას, მიიღებს ზომებს ზედმეტი, გამოუყენებელი მატერიალური რესურსების რეალიზაციისათვის;

— გაანაწილებს სამინისტროსათვის გამოყოფილი მასალებისა და მოწყობილობის ფონდებს კავშირგაბმულობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის, აგრეთვე გადაანაწილებს საჭიროების შემთხვევებში აღნიშნულ ფონდებს, მშენებლობისა და საწარმოო-საექსპლუატაციო საქმიანობის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების გათვალისწინებით;

— განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება; სამინისტროს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების რენტაბელობის ამაღლება და მათი დაგროვების მაქსიმალურად გადიდება, ძირითადი ფონდების, საბრუნავი სახსრებისა და ბანკის კრედიტების ეფექტიანად გამოყენება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დადგენილი წესით დააფინანსებს კავშირგაბმულობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ხელმძღვანელობას გაუწევს მათს საფინანსო საქმიანობას; განახორციელებს კონტროლს სამინისტროს სისტემაში საფინანსო რესურსების გამოყენებისადმი.

— უზრუნველყოფს კავშირგაბმულობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საფინანსო გეგმების შესრულებას, საკუთარი საბრუნავი სახსრების დაცვა-შენახვას, ანგარიშის დროულად გასწორებას მუშა-მოსამსახურეებთან, ბიუჯეტთან, მიმწოდებლებთან, მოიჯარეებთან, ბანკებთან, აგრეთვე იმ საკუთარი სახსრების გადარიცხვას საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური მშენებლობისა, კაპიტალური რემონტისა და საფინანსო გეგმით გათვალისწინებული სხვა მიზნებისათვის.

— შექმნის დადგენილი წესით ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის დაჯილდოების ფონდს და სხვა ცენტრალიზებულ ფონდებს, აგრეთვე რეზერვს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად;

— გახსნის ბანკებში საანგარიშსწორებო ანგარიშებს, რათა გადაანაწილოს დადგენილი წესით საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრები, მოგება, ცენტრალიზებული ფონდების შესაქმნელი თანხები, აგრეთვე გახსნის ცალკეულ ანგარიშებს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევი რეზერვის სახსრებისა და კაპიტალური რემონტის საამორტიზაციო ანარიცხთა რეზერვის სახსრების შესანახად;

— განიხილავს საწარმოებისა და ორგანიზაციების შეჯამებულ ანგარიშებსა და ბალანსებს, დაამტკიცებს მათ; შეადგენს შეჯამებულ ანგარიშებსა და ბალანსებს სამინისტროს საქმიანობის სახეობათა მიხედვით;

— მოაწყობს სამინისტროს სისტემაში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას, უწყებრივი კონტროლის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს რევიზიების რეგულარულად ჩატარებას, ეკონომიკის მდგომარეობის ყოველმხრივ ანალიზს, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვა-შენახვის შემოწმებას, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას;

— კონტროლს გაუწევს სამინისტროს სისტემაში აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად წარმოებას და მის სინამდვილეს, აგრეთვე განახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო ქონების დაცვისა და მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებისათვის;

— უზრუნველყოფს სამინისტროს სისტემის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მუშაკთა კვალიფიციური კადრებით, მოაწყობს კადრების მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას; შეისწავლის კადრებს სამინისტროს სისტემაში, უზრუნველყოფს ძველი გამოცდილი კადრების და ახალგაზრდა ნიჭიერი მუშაკების შეხამებას, შექმნის იმის პირობებს, რომ დაწინაურებულ იქნან ხელმძღვანელ სამუშაოზე პოლიტიკურად მომწიფებული, თავიანთი საქმის კარგად მცოდნე სპეციალისტები, რომლებიც სარგებლობენ კოლექტივში ავტორიტეტითა და ნდობით; მიიღებს ზომებს ახალგაზრდა სპეციალისტთა რაციონალურად გამოყენებისათვის და განახორციელებს ღონისძიებებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც მიმართულია მუდმივი კადრების შესაქმნელად სამინისტროს სისტემაში;

— მოაწყობს მშრომელთა წერილების (განცხადებებისა და საჩივრების) დროულად და ყურადღებით განხილვას, მიაღწევს ამ წერილებში დასმული საკითხების სწორად გადაწყვეტას, აგრეთვე მიიღებს ზომებს სამინისტროს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც მოყვანილია მშრომელთა წერილებში;

— ხელმძღვანელობას გაუწევს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას სამინისტროს სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში; განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის პირობების შემდგომ გაუმჯობესებასა და გაჯანსაღებას, უსაფრთხობის ტექნიკის წესების და საწარმოო სანიტარიის მოთხოვნების მტკიცედ დაცვას;

— უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების და დაჯილდოების მოქმედი პირობების სწორად გამოყენებას; აგრეთვე სწორ თანაფარდობას შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ხელფასის ზრდას შორის; განახორციელებს კონტროლს ხელფასის ფონდისა და წასახალისებელი ფონდების ხარჯვისადმი;

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დააწესებს და შეცვლის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა თანამდებობრივ განაკვეთებს;

— ხელმძღვანელობას გაუწევს კოლექტიური ხელშეკრულებების დადებას და განახორციელებს მათი შესრულებისადმი კონტროლს;

— უზრუნველყოფს პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მონაწილეობით სამინისტროს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, აგრეთვე გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებას;

— პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად მოაწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას, დაამტკიცებს რესპუბლიკური შეჯიბრების პირობებს სამინისტროს სისტემაში, ხელს შეუწყობს კომუნისტური შრომისათვის, წარმოების მაღალი კულტურისათვის მოძრაობის განვითარებას;

— პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად შეაჯამებს სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და გამარჯვებულ კოლექტივებს მიანიჭებს გარდამავალ წითელ დროშებს და მისცემს ფულად პრემიებს, მიაკუთვნებს კომუნისტური შრომის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების წოდებას. მოაწყობს შრომის მოწინავე მეთოდების და მოწინავე გამოცდილების შესწავლას, განზოგადებასა და გავრცელებას, აგრეთვე წარადგენს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის.

8. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, დანიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდგომ შეტანილი იქნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მინისტრის მოადგილეებს შორის მოვალეობას გაანაწილებს მინისტრი.

9. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროში შეიქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მინისტრი (თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სამინისტროს კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

10. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი პერსონალურად პასუხისმგებელია სამინისტროზე დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, დააწესებს მინისტრის მოადგილეების, სამმართველოების, განყოფილებების უფროსების და სამინისტროს დირექციების პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობისათვის.

11. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი, სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემს მოქმედი კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ბრძანებების, წესებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად—ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და გასცემს სამინისტროს სისტემის საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს და შეამოწმებს მათს შესრულებას.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად ერთობლივ ბრძანებებს.

12. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარების ძირითად საკითხებს და სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხებს, განიხილავს საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის, განაწილებისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სამმართველოების, განყოფილებებისა და დირექციების, სამინისტროს სისტემის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება, როგორც წესი, მინისტრის ბრძანებებით. მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში, მინისტრი განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინიტროს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი იმავე ინსტანციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ წარმოდგენილი წინადადებების განსახილველად მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის დასადგენად, სამამულო და უცხოეთის მეცნიერების, ტექნიკის უახლესი მიღწევების და მოწინავე გამოცდილების გამოყენებისა და დანერგვის რეკომენდაციების შესამუშავებლად საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროში შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომელშიაც შევლენ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, წარმოების ნოვატორები, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობას და მის დებულებას დაამტკიცებს მინისტრი.

14. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას, მუშაკთა რაოდენობას და ხელფასის ფონდს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საშტატო განრიგს, აგრეთვე სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების დებულებებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო.

სამინისტროს სამმართველოები და განყოფილებები შეიძლება გადაყვანილ იქნან სამეურნეო ანგარიშზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

15. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი თავისი სახელწოდებით.

---

52 საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო მეურნეობებისა და სამრეწველო საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ გადაყვანილ იქნან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს 84 ავტოსატრანსპორტო და 6 სამრეწველო საწარმო 1968 წლის აპრილიდან, № 1 დანართის თანახმად.

2. დამტკიცდეს ახალ სისტემაზე გადაყვანილ ავტოსატრანსპორტო და სამრეწველო საწარმოების ეკონომიური სტიმულირების ფონდებში მოგების ანარიცხების დარგობრივი ნორმატივები, № 2 დანართის თანახმად.

3. დაუწესდეს საწარმოო ფონდების საფასურის ნორმა სამი პროცენტის რაოდენობით ორ სამრეწველო და ორ ავტოსატრანსპორტო საწარმოს, ხოლო ორი სამრეწველო და ოთხი ავტოსატრანსპორტო საწარმო განთავისუფლდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

1968 წელს საწარმოო ფონდების საფასურისაგან ისე, რომ ამასთან დაკავშირებით არ შეიცვალოს სახელმწიფო ბიუჯეტთან ურთიერთობა, № 3 დანართის თანახმად.

4. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ:

ა) ერთი კვირის ვადაში წარუდგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საჭირო გაანგარიშებანი, რათა შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებანი რესპუბლიკის შეჯამებულ გეგმებსა და ბიუჯეტში იმასთან დაკავშირებით, რომ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილმა საწარმოებმა იკისრეს პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის, საერთო შემოსავლისა და მოგების გადიდების დამატებითი ვალდებულებანი;

ბ) უზრუნველყოს შრომის ნაყოფიერებისა და საშუალო ხელფასის ზრდის ტემპების სწორი თანაფარდობა, აგრეთვე პრემიების ოდენობა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა, მოსამსახურეებისა და მუშებისათვის მრეწველობისა და საავტომობილო ტრანსპორტის იმ საწარმოთა მატერიალური წახალისების ფონდიდან, რომლებიც გადაყვანილი არიან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე.

5. სატვირთო გადაზიდვის საშემოსავლო განაკვეთების დაზუსტებასთან დაკავშირებით, გაუდიდდეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს 1968 წლის გეგმა: მოგებისა — 2188 ათასი მანეთით და საბიუჯეტო გადასახდელებისა — 1978 ათასი მანეთით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 2 ივლისი, № 340.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 2 ივლისის № 340
დადგენილების დანართი № 1

ს ი ა

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო მეურნეობებისა და სამრეწველო საწარმოებისა, რომლებიც გადაყვანილი არიან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე 1968 წლის 1 აპრილიდან

I. საავტომობილო მეურნეობანი

ბათუმის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა № 2
გაგრის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა
ფოთის ავტოსატრანსპორტო კანტორა № 2
გორის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა № 2
ტყვარჩელის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა
ბათუმის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა № 4
ტყიბულის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა
ცხინვალის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა № 2
ახალციხის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა
ზუგდიდის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა № 2
მარნეულის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა
გორის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა № 1
ცხინვალის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა № 3
ჭიათურის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა № 3
ბორჯომის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა
ცხინვალის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა № 2
ზესტაფონის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა
ზუგდიდის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა № 1
წნორის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა
მახარაძის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა
ავტოკოლონა № 2658
ავტოკოლონა № 2657
თბილისის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორა № 2
თბილისის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორა № 5
გასაქირავებელი და სამსახურებრივი ავტომობილების ავტოსატრანსპორტო კანტორა
ქუთაისის ტაქსმოტორის ავტოსატრანსპორტო კანტორა
ავტოკოლონა № 2660
მარნეულის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორა
ცხინვალის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წნორის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორა
რუსთავის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორა
თელავის ს მგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორა
გურჯაანის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორა
გორის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორა
ახალციხის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორა
ზუგდიდის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორა
სამტრედიის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორა
ცხაკაიას სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორა
ბორჯომის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორა
ტყიბულის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორა
ფოთის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორა
ჭიათურის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორა
ტყვარჩელის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორა
ქობულეთის ავტოსატრანსპორტო კანტორა
ქედის გარაჟი
გალის ავტოსატრანსპორტო კანტორა
წყალტუბოს ავტოსატრანსპორტო კანტორა
წულუკიძის ავტოსატრანსპორტო კანტორა
გარდაბნის გარაჟი
ქარელის ავტოსატრანსპორტო კანტორა
ჩაქვის ავტოსატრანსპორტო კანტორა
ახალქალაქის ავტოსატრანსპორტო კანტორა
ადიგენის ავტოსატრანსპორტო კანტორა
ახმეტის ავტოსატრანსპორტო კანტორა
ლაგოდეხის ავტოსატრანსპორტო კანტორა
წალკის ავტოსატრანსპორტო კანტორა
ხობის ავტოსატრანსპორტო კანტორა
დმანისის ავტოსატრანსპორტო კანტორა
შუახევის გარაჟი
დუშეთის ავტოსატრანსპორტო კანტორა
კასპის ავტოსატრანსპორტო კანტორა
საჩხერის ავტოსატრანსპორტო კანტორა
ყაზბეგის ავტოგარაჟი
ბოლნისის ავტოსატრანსპორტო კანტორა
ბოგდანოვკის ავტოსატრანსპორტო კანტორა
ყვარლის ავტოსატრანსპორტო კანტორა
წითელწყაროს ავტოსატრანსპორტო კანტორა
თეთრიწყაროს ავტოსატრანსპორტო კანტორა
ლენინგორის გარაჟი
მაიაკოვსკის ავტოსატრანსპორტო კანტორა
გეგეჭკორის ავტოსატრანსპორტო კანტორა

20785.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიანეთის ავტოსატრანსპორტო კანტორა
ხულოს ავტოგარაჟი
ჩოხატაურის ავტოსატრანსპორტო კანტორა
ონის ავტოსატრანსპორტო კანტორა
ჩხოროწყუს ავტოსატრანსპორტო კანტორა
ორჯონიკიძის ავტოსატრანსპორტო კანტორა
საგარეჯოს ავტოსატრანსპორტო კანტორა
წალკის ავტოსატრანსპორტო კანტორა
ასპინძის ავტოგარაჟი
თერჯოლის ავტოსატრანსპორტო კანტორა
ლენტეხის ავტოგარაჟი
ცაგერის ავტოგარაჟი
მესტიის ავტოგარაჟი

II. სამრეწველო საწარმოები

მახარაძის სალტეების სარემონტო ქარხანა
საგარეჯოს სალტეების სარემონტო ქარხანა
თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა № 1
ქუთაისის ავტოსარემონტო ქარხანა
გუდაუთის ავტოსარემონტო ქარხანა
ცხინვალის ავტობუსების სარემონტო ქარხანა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 2 ივლისის № 340
დადგენილების დანართი № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოსავალი ნორმები

და დარგობრივი ნორმატივები მოგების ანარიცხების ეკონომიური სტიმულირების ფონდებში საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და სამრეწველო საწარმოებისათვის

	მატერიალური წახალისების ფონდში (მთელი პერსონალის ხელფასის ფონდის პროცენტულად)				სოციალურ-კულტურული ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდში (მთელი პერსონალის ხელფასის ფონდის პროცენტულად)				წარმოების განვითარების ფონდში (ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო-წლიური ღირებულების პროცენტულად)			
	ამოსავალი ნორმა	საანგარიშსწორებო რენტაბელობის ყოველ პროცენტში	მოგების ზრდის ყოველ პროცენტში	შემოსავლის ზრდის ყოველ პროცენტში	ამოსავალი ნორმა	საანგარიშსწორებო რენტაბელობის ყოველ პროცენტში	მოგების ზრდის ყოველ პროცენტში	შემოსავლის ზრდის ყოველ პროცენტში	ამოსავალი ნორმა	საანგარიშსწორებო რენტაბელობის ყოველ პროცენტში	მოგების ზრდის ყოველ პროცენტში	შემოსავლის ზრდის ყოველ პროცენტში
ავტომეურნეობები	7,67	0,154	0,178	0,173	4,0	0,067	0,078	0,074	0,5	0,011	0,012	0,012
სამრეწველო საწარმოები	9,4	0,793	0,125	—	4,0	0,337	0,053	—	0,5	0,042	0,007	—

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 2 ივლისის № 340
დადგენილების დანართი № 3

I. საავტომობილო და სამრეწველო საწარმოები, რომლებსაც დაუწესდათ საფასური საწარმოო ფონდებისათვის სამი პროცენტის რაოდენობით

1. საგარეჯოს სალტეების სარემონტო ქარხანა
2. თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა № 1
3. ჭიათურის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა № 3
4. ცხინვალის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა № 2

II. საავტომობილო და სამრეწველო საწარმოები, რომლებიც 1968 წელს თავისუფლდებიან საწარმოო ფონდების საფასურისაგან

1. ცხინვალის ავტობუსების სარემონტო ქარხანა
2. მახარაძის სალტეების სარემონტო ქარხანა
3. ლენტეხის ავტოგარაჟი
4. ცაგერის ავტოგარაჟი
5. მესტიის ავტოგარაჟი
6. ბორჯომის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

53 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 20 მაისის № 352 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 20 მაისის № 352 დადგენილებისა „დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ ნაწლავისა და დვრიტის ნედლეულის, ჯაგრის, ცხენის ძუის, ბუმბულისა და ღინღლის მიღებისა და შენახვის და ამ ნედლეულის შესასყიდი ფასების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 8 ივლისი, № 356.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 8 ივლისის № 356
დადგენილების დანართი

ნუსხა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 20 მაისის № 352 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 6 თებერვლის № 170 დადგენილება „ნაწლავნედლეულის მოფანტული დამზადების 1953 წლის გეგმის შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 29 მარტის № 249 დადგენილება „ბუმბულისა და ღინღლის დამზადების 1954 წლის გეგმის შესახებ“, გარდა მე-5 პუნქტისა.

3. პუნქტები 2, 4, 5 და 7 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 8 აპრილის № 276 დადგენილებისა „ნაწლავნედლეულის დამზადების 1954 წლის გეგმის შესახებ“.

4. პუნქტები 4, 12 და დანართი № 13 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 ივლისის № 446 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების სამუშაოების ნატურსაზღაურის გაუქმების, ამ პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ“ ბუმბულის, ფრთის, ჯაგრისა და ცხენის ძუის ფასების ნაწილში.

5. 1 პუნქტის ქვეპუნქტი „ბ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 2 მარტის № 110 დადგენილებისა „იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების შესახებ, რომელსაც სახელმწიფოს აბარებენ საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები“ ჯაგრის, ცხენის ძუის, ბუმბულისა და ღინღლის ფასების ნაწილში, აგრეთვე ამ დადგენილების მე-2 პუნქტის ქვეპუნქტი „ა“ ნაწლავნედლეულის ფასების ნაწილში.

6. „1964-1965 წლებში ცეკავშირის სისტემის მეშვეობით ცხვრის ნაწლავნედლეულის შესყიდვის გადიდების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 20 ივლისის № 438 დადგენილების მე-2 პუნქტის ქვეპუნქტები „ბ“ და „გ“, მე-3 პუნქტი და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

54 რესპუბლიკური სამინისტროების, უწყებების სამრეწველო საწარმოებისა და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საუწყებათაშორისო კომისიის წინადადება და დამტკიცდეს რესპუბლიკური სამინისტროების, უწყებების სამრეწველო საწარმოებისა და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის გეგმა, დანართის თანახმად.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

ა) უზრუნველყონ ქვესაუწყებო საწარმოების გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, ამ დადგენილებასთან დართული გრაფიკის შესაბამისად, და საჭირო მასალების წარდგენა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საუწყებათაშორისო კომისიის განსახილველად, დაწესებული ფორმებისა და მაჩვენებლების მიხედვით.

ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 აგვისტოს № 774 დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე მხოლოდ იმ სამრეწველო საწარმოების გადაყვანის შესახებ, რომელთათვისაც ეკონომიური სტიმულირების ფონდები დაწესებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ საუწყებათაშორისო კომისიასთან შეთანხმებული ნორმების საფუძველზე.

ბ) ჩაატარონ გულმოდგინე მოსამზადებელი მუშაობა იმისათვის, რომ შეიქმნას დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასაყვან სამრეწველო საწარმოებში ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების ზრდის, წარმოების განვითარებისა და მისი ეფექტიანობის გადიდების ტემპების გაძლიერებას, და დაამთავრონ ეს მუშაობა გრაფიკით დაწესებული ვადისათვის.

3. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს უზრუნველყონ საჭირო მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება ქვესაუწყებო საწარმოებში, რომლებიც გადაყვანილ უნდა იქნან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე.

4. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა შეაჯამონ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილი საწარმოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

1968 წლის პირველ ნახევარში მუშაობის შედეგები, რაც აცნობონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს არა უგვიანეს 1968 წლის 25 აგვისტოსა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 11 ივლისი, № 359.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 11 ივლისის № 359
დადგენილების დანართი

საორგანიზაციო გეგმა

საქართველოს სსრ რესპუბლიკური სამინისტროების, უწყებების სამრეწველო საწარმოებისა და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების გადაყვანისა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე

სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	მრეწველობის დარგებისა და საწარმოების დასახელება	გადაყვანის ვადა
1. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	**I. მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება** **1. რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოები** თბილისის მექანიკური ქარხანა № 1 თბილისის მექანიკური ქარხანა № 2 თბილისის ლითონის კონსტრუქციების ქარხანა თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა გორის მექანიკური ქარხანა თერჯოლის მექანიკური ქარხანა მახარაძის ფაიფურის ნაკეთობათა ქარხანა **2. აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები** სოხუმის სამსხმელო-მექანიკური ქარხანა **3. აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო** ბათუმის სამსხმელო-მექანიკური ქარხანა ბათუმის მექანიკური ქარხანა **4. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის საწარმო** ცხინვალის მექანიკური ქარხანა	1968 წლის ივლისში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	მრეწველობის დარგებისა და საწარმოების დასახელება	გადაყვანის ვადა
	II. ქიმიური და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა	1968 წლის ივლისში
	1. რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმო	
	თბილისის პლასტმასის ნაკეთობათა ქარხანა	
	2. აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმო	
	სოხუმის საგალანტერიო ფაბრიკა	
	3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის საწარმო	
	ცხინვალის ქიმიური ქარხანა	
	III. შავი მეტალურგია	
	1. აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმო	1968 წლის ივლისში
	გუდაუთის მექანიკური ქარხანა	
	IV. მსუბუქი მრეწველობა	1968 წლის ივლისში
	1. რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოები	
	თბილისის ხალიჩების ფაბრიკა თბილისის საგალანტერიო ფაბრიკა	
	თბილისის სამრეწველო ნარჩენების გადამმუშავებელი ფაბრიკა № 1	
	თბილისის სამრეწველო ნარჩენების გადამმუშავებელი ფაბრიკა № 2	
	გარდაბნის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა	
	საგარეჯოს მატყლგადამმუშავებელი ფაბრიკა ვაზიანის სამკერვალო-საგალანტერიო ფაბრიკა	

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	მრეწველობის დარგებისა და საწარმოების დასახელება	გადაყვანის ვადა
	2. აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმო	
	სოხუმის სამრეწველო ნარჩენების გადამმუშავებელი ფაბრიკა	
	3. აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმო	
	ბათუმის რეზინა-ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანა.	
	V. საშენ მასალათა მრეწველობა	1968 წლის ივლისში
	1. რესპუბლიკური დაქვემდებარეების საწარმოები	
	ლანჩხუთის საშენ მასალათა კომბინატი ქსნის საშენ მასალათა კომბინატი ტყვარის საშენ მასალათა ქარხანა საბურღ-აფეთქების სამუშაოთა კანტორა	
	2. აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმო	
	სოხუმის საშენ მასალათა კომბინატი	
	3. აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმო	
	ბათუმის საშენ მასალათა კომბინატი	
	4. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის საწარმო	
	ცხინვალის საშენ მასალათა კომბინატი	
	VI. ხე-ტყის, ხისდამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა	1968 წლის ივლისში
	1. აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმო	
	სოხუმის ავეჯის ფაბრიკა	

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	მრეწველობის დარგებისა და საწარმოების დასახელება	გადაყვანის ვადა
	2. აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმო ბათუმის ხისდამმუშავებელი ქარხანა	
	VII. ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐ 1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის საწარმო ჯავის მინერალური წყლის „ძაუს“ ჩამომსხმელი ქარხანა	1968 წლის ივლისში
	VIII. ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲠᲒᲔᲑᲘ 1. რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოები თბილისის მუსიკალური კლავიშებიანი ინსტრუმენტების ფაბრიკა თბილისის მექანიკური სათამაშოების ფაბრიკა	1968 წლის ივლისში
	IX. ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ (ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ) ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲔᲑᲘ 1. რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოები გორის, ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდის, საქალაქო სამრეწველო კომბინატები, აბაშის ადიგენის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, ბორჯომის, ვანის, გარდაბნის, გორის, გეგეჭკორის გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, კასპის, ქარელის, ყვარლის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მარნეულის, მესტიის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, საჩხერის, სიღნაღის, თელავის, თერჯოლის, თეთრიწყაროს, თიანეთის, , ხაშურის ხობის, წყალტუბოს, წულუკიძის, წითელწყაროს, ცხაკაიას, ჩოხატაურის რაიონული სამრეწველო კომბინატები	1968 წლის ივლისში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	მრეწველობის დარგებისა და საწარმოების დასახელება	გადაყვანის ვადა
	2. აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმო	
	გაგრის, ოჩამჩირის, გუდაუთის რაიონული სამრეწველო კომბინატები	
	3. აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმო	
	ქობულეთის რაიმრეწკომბინატი	
2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველო	თბილისის სარემონტო-მექანიკური სახელოსნო	1969 წლის იანვარში
3. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	თბილისის საპროტეზო-ორთოპედიული ქარხანა	1969 წლის იანვარში
4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო	ექსპერიმენტულ-სარემონტო სახელოსნო დამხმარე საწარმოები კომბინატი	1969 წლის იანვარში
5. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია	სტამბა	1969 წლის იანვარში
6. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	ტრესტ „საქკომუნრემშენის“ საწარმოთა კომბინატი აფხაზეთის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს საწარმოო კომბინატი	1969 წლის იანვარში
7. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი	ტრესტი „ინკომშენი“ უფროსი „თბილქალაქტყედამზადება“	1969 წლის იანვარში 1969 წლის იანვარში
	თბილისის ქარხანა „წყალხელსაწყო“	1969 წლის იანვარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	მრეწველობის დარგებისა და საწარმოების დასახელება	გადაყვანის ვადა
	საქალაქო საბინაო სამმართველოს საწარმოო კომბინატი	1969 წლის იანვარში
	კეთილმოწყობის სამმართველოს ელექტროტექნიკურ ნაკეთობათა კომბინატი	1969 წლის იანვარში
	თბოფიკაციის სამმართველოს ექსპერიმენტული მექანიკური სახელოსნო	1969 წლის იანვარში

შენიშვნა: საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის მექანიკური ქარხნები №№ 3 და 4, თბილისის ლითონის ნაკეთობათა ფაბრიკა, თბილისის რეზინის ნაკეთობათა ქარხანა, სოხუმის ლუდისა და ხილის წყლების ქარხანა და ტყიბულის საქალაქო-სამრეწველო კომბინატი გადაყვანილი არიან მეურნეობის ახალ სისტემაზე 1967 წელს, ხოლო საქართველოს სსრ საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები — 1968 წლის პირველ ნახევარში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

მუზეუმ-ბიბლიოთეკა

55 საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სამონადირეო მეურნეობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში საგრძნობლად გაუმჯობესდა სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის საქმე.

როგორც სახელმწიფო, ისე მიწერილ სამონადირეო მეურნეობებში გაიზარდა სასარგებლო ნადირ-ფრინველთა რაოდენობა, რამდენადმე გაძლიერდა ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლა. 2,4 მილიონ ჰექტარამდე სამონადირეო სავარგული ხანგრძლივი ვადით მიმაგრებულია სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი და მისი საქვეუწყებო სატყეო მეურნეობები, საქართველოს მონადირეთა კავშირი და მონადირეთა საზოგადოებები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველო არასაკმაოდ იბრძვიან სასარგებლო ნადირისა და ფრინველის დასაცავად, რის შედეგადაც ჯერ კიდევ ხშირია ბრაკონიერობის შემთხვევები.

1967 წელს რესპუბლიკაში გამოვლინებული იყო ბრაკონიერობის 647 შემთხვევა, მათ შორის გურჯაანის რაიონში — 66, ზუგდიდის — 48, თელავის — 38 და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 46. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულია ჩადენილი მაიაკოვსკის, ლენინგორისა და დუშეთის რაიონებში, სადაც მიმდინარე წლის ზამთარში მოკლეს 2 ირემი და 2 შველი. უფრო მეტიც, საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში მცხოვრებმა, მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის თანამშრომელმა ზ. მეკოკიშვილმა, რომლის სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენდა ფაუნის დაცვა, ნაკრძალის ტერიტორიაზე ამა წლის თებერვალში თვით ჩაიდინა ბრაკონიერობა — მოკლა 1 ირემი.

ბრაკონიერების მიერ ასეთი შეუწყნარებელი მოქმედება ნაწილობრივ აიხსნება იმ გარემოებით, რომ მოსახლეობაში ჯერ კიდევ არასაკმაოდ ტარდება საუბრები და ახსნა-განმარტებითი მუშაობა რესპუბლიკის ფაუნის დაცვისა და მნიშვნელობის, აგრეთვე დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დიდი ფართობებია დარჩენილი, რომელიც მიუწერელია სამონადირეო კოლექტივებზე, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის დადგენილებით ეს სამუშაოები 1964 წლის ბოლომდე უნდა დამთავრებულიყო. ამასთან სათანადოდ არ ტარდება სანადირო სავარგულების მოწყობა-გამოკვლევა.

შემოწმებით დადგენილია, რომ ყვარლის, ბორჯომის, დუშეთის, მცხეთის, კასპის, ბოლნისის, ხობის, ვანისა და სხვა რაიონების მონადირეთა საზოგადოებანი არ ასრულებენ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს მიწერილ სამონადირეო მეურნეობებში ბიოტექნიკურ ღონისძიებათა და სხვა სამუშაოების ჩატარების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომების უმრავლესობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს სამონადირეო მეურნეობის განვითარების, სასარგებლო სანადირო ფაუნის მოშენება-დაცვის საქმეს.

რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები ხშირ შემთხვევაში არ ასრულებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 11 მარტის ბრძანებულებას „ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ და სათანადოდ არ სჯიან ნადირობის წესების დამრღვევებს, არ გამოაქვთ გადაწყვეტილება იარაღისა და ნანადირევის ჩამორთმევის შესახებ და სხვ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველო არ ადგენს რესპუბლიკის სამონადირეო მეურნეობის განვითარების ერთიან წლიურ გეგმას, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 აგვისტოს № 536 დადგენილებით „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამონადირეო მეურნეობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს:

ა) 1968-69 წლის ბოლომდე შეამოწმოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სატყეო მეურნეობებსა და საქართველოს მონადირეთა კავშირის ადგილობრივ ორგანიზაციებზე მიწერილი სამონადირეო მეურნეობების მუშაობა, გამოარკვიოს მეურნეობის მფლობელის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება და მიწერილი სავარგულების მფლობელთათვის მეურნეობის შემდგომი დატოვების საკითხი გადაწყვიტოს ამ ვალდებულებათა შესრულების მიხედვით, აგრეთვე მიმდინარე წლის ბოლომდე დაამთავროს სახელმწიფო ორგანიზაციებსა და სამონადირეო საზოგადოებებზე ყველა სანადირო სავარგულის მიწერა;

ბ) ყოველწლიურად ჩაატაროს რესპუბლიკაში ნადირ-ფრინველის აღრიცხვა, შეადგინოს და დაამტკიცოს რესპუბლიკის სამონადირეო მეურნეობის განვითარების ერთიანი გეგმა, დასახოს და განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებას;

გ) 1970 წლის ბოლომდე დაამთავროს რესპუბლიკის სანადირო სავარგულების გამოკვლევა ამ ღონისძიებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში;

დ) განსაკუთრებით გააძლიეროს ბრძოლა ბრაკონიერების წინააღმდეგ, მოაწყოს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სკოლებსა და წარმოებადაწესებულებებში, აგრეთვე მოსახლეობაში ფართო ახსნა-განმარტებითი საუბრები და ლექციები რესპუბლიკის ფაუნის დაცვისა და მნიშვნელობის საკითხებზე, აგრეთვე დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობის შესახებ. ამ საქმეში ჩააბას სახელმწიფო ორგანიზაციებისა და მონადირეთა საზოგადოების ფართო აქტივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს დროებით სარგებლობაში გამოუყონ მიწერილ მეურნეობებს, ამ მეურნეობის თვითეულ 5000 ჰექტარზე, არანაკლები 2 ჰექტარი სახნავ-სათესი სავარგული ნადირისა და ფრინველის დამატებითი საკვების დასამზადებლად.

3. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომებს გააძლიერონ მომთხოვნელობა აღმასკომთან არსებულ ადმინისტრაციულ კომისიათა მუშაობისადმი, რათა ნადირობის წესებისა და ვადების დამრღვევთა მიმართ განუხრელად გამოიყენონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 11 მარტის ბრძანებულება „ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ". კომისიების შემადგენლობაში შეიყვანონ ნადირობის მარეგულირებელი ორგანოს ან ადგილობრივი მონადირეთა საზოგადოების გამგეობის წარმომადგენელი.

4. საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობამ:

ა) მონადირეთა საზოგადოების ძალებით განახორციელოს მონადირეთა კოლექტივებზე მიმაგრებულ სანადირო სავარგულებში სამონადირეო მეურნეობის განვითარების ერთიანი გეგმით გათვალისწინებული ნადირ-ფრინველის მოშენება-მომრავლების, დაცვისა და ბიოტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სანადირო სავარგულების გაუმჯობესებას;

ბ) აამაღლოს მონადირეთა საზოგადოების პასუხისმგებლობა სასარგებლო ფაუნის დაცვის, ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლისა და სანადირო სავარგულების გონივრულად გამოყენებისათვის;

გ) საზოგადოების ახალ წევრთა მიღება აწარმოოს მხოლოდ რაიონის სანადირო სავარგულებში ნადირისა და ფრინველის რაოდენობრივი ფაქტიური მდგომარეობის გათვალისწინებით.

5. ნადირობის წესებისა და ვადების ზუსტად დაცვისადმი ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით რესპუბლიკის ყველა რაიონში შეიქმნას ნადირობის სახელმწიფო ინსპექტორების თანამდებობა, ხოლო აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომთან — სამონადირეო ინსპექციები ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოსათვის დამტკიცებული საშტატო ერთეულების, თვიური ხელფასის ფონდისა და საბიუჯეტო ასიგნებათა ფარგლებში.

6. აიკრძალოს საგაზაფხულო ნადირობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

მავნე მტაცებელთა რაოდენობის რეგულირება აკრძალულ პერიოდში ნებადართულ იქნეს მხოლოდ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს ან რაიონული სახელმწიფო ინსპექტორების მიერ გაცემული ნებართვებით, მავნე მტაცებელი ნადირის მოპოვების გეგმის შესაბამისად.

7. ვინაიდან გარეული იხვისა და წყალში მცურავი სხვა სახის გადამფრენი ფრინველების გამოსახამთრებელ ადგილად შავ ზღვაზე ძირითადად ითვლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიასტომის ტბა და მისი მიდამოები, გადამფრენ ფრინველთა დაცვის მიზნით გამოცხადდეს პალიასტომის ტბა — მისი ნაპირებიდან ერთი კილომეტრის რადიუსით — რესპუბლიკური მნიშვნელობის სამონადირეო აღკვეთილად 10 წლის ვადით.

დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომს, ხობისა და ლანჩხუთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს გამიჯნონ აღკვეთილის საზღვრები და უზრუნველყონ აღკვეთილში რეკომენდებული ყველა ღონისძიების გატარება.

8. დაწესდეს, რომ:

ა) სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე მიწერილ სამონადირეო მეურნეობაში მოსაპოვებელი სანადირო ჩლიქოსანი ცხოველების ლიცენზიების ღირებულების 50 პროცენტი რჩება იმ მიწერილ მეურნეობას, სადაც გათვალისწინებულია ცხოველების მოპოვება, ხოლო 50 პროცენტი ჩაერიცხება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს თანხმობით, მიწერილ მეურნეობაში შეყვანილ ახალ სახეობათა ნადირ-ფრინველის მოპოვების ნებართვების ღირებულება მთლიანად რჩება მიწერილ მეურნეობას;

გ) სამეცნიერო ხასიათის ნადირობაზე გაიცეს მხოლოდ ფასიანი ნებართვები;

დ) მიუწერელ თავისუფალ სავარგულებში მოსაპოვებელი ცხოველის ნებართვის ღირებულება მთლიანად ჩაერიცხება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს. ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს ცვლილებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 აგვისტოს № 536 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში „სალიცენზიო ნადირობის შესახებ“.

9. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული რესპუბლიკაში ფაუნის დაცვის წარჩინებული მუშაკის სამკერდე ნიშნის დაწესება, რისთვისაც დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს შეიმუშაოს სამკერდე ნიშნის ნიმუში, აგრეთვე დებულების პროექტი და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

10. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს გაითვალისწინოს საგამომცემლო გეგმებით სამონადირეო ლიტერატურისა და სააგიტაციო პლაკატების გამოშვება ფაუნის საკითხებზე.

რესპუბლიკის გაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა ფართო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროპაგანდა აწარმოონ სასარგებლო ნადირისა და ფრინველის მომრავლებისა და ნადირობის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

11. პროკურატურის, სასამართლოს და მილიციის ორგანოებმა გააძლიერონ ბრძოლა ნადირობის წესებისა და ვადების დამრღვევთა მიმართ და განუხრელად შეასრულონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 11 მარტის ბრძანებულება „ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

12. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მისცეს სათანადო მითითებანი სკოლებს, რათა მოსწავლეებთან სისტემატურად მოეწყოს საგანგებო საუბრები ბუნების დაცვის საკითხებზე და სასარგებლო ფაუნის გამრავლების მიზნით ხორციელდებოდეს ქმედითი ღონისძიებანი.

13. დაევალოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, გამოშვებული პროდუქციის შეფუთვისას გამოიყენოს ფაუნის დაცვის ბრძოლის ამსახველი რეკლამები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს დაკვეთითა და ღირებულების ანაზღაურებით.

14. შეტანილ იქნას ცვლილებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 აგვისტოს № 536 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში „საქართველოს სსრ-ში ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის შესახებ“:

ა) დებულების მე-20 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტიდან ამოღებული იქნას სიტყვა „აფთარი“, ვინაიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 დეკემბრის № 710 დადგენილებით აფთარი ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას, როგორც გადაშენების გზაზე მდგარი ცხოველი;

ბ) დებულების 24-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„24. ნადირობის წესების დარღვევა გამოიწვევს ჯარიმას 20 მანეთამდე და მთელი ნანადირევისა და სანადირო იარაღის ჩამორთმევას ღირებულების აუნაზღაურებლად, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 11 მარტის ბრძანებულებით „ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“. ჯარიმას დაადებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები, თუ ეს ქმედობა არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

უკანონო ნადირობისათვის ჩამორთმეული პროდუქცია და იარაღი ყველა შემთხვევაში რეალიზებულ უნდა იქნეს დადგენილი წესით, ხოლო აქედან შემოსული თანხა მთლიანად ჩაერიცხოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს, რომელიც ვალდებულია 50 პროცენტი გადარიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში“.

გ) დებულების 26-ე პუნქტის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ზარალის ასანაზღაურებლად შემოსული თანხები მთლიანად ჩაერიცხება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს“;

დ) დებულების 27-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) იმ პირთა დასაჯილდოებლად, რომლებმაც აღმოაჩინეს დარღვევები, 40 პროცენტი დაიხარჯება ჯარიმებიდან მიღებული თანხიდან, ხოლო 20 პროცენტი — სამონადირეო მეურნეობისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად შემოსული თანხიდან“.

15. იმასთან დაკავშირებით, რომ გაფართოვდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს ფუნქციები, აღნიშნული სამმართველო გარდაიქმნას მთავარ სამმართველოდ და ამიერიდან მას ეწოდოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო.

ეს გარდაქმნა მოხდეს ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და თვიური ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც ზემოაღნიშნულ სამმართველოს დაუმტკიცდა 1968 წლისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 11 ივლისი, № 361.

56 საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ 1968 წლის 1 ივლისიდან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადავიდეს 82 სამრეწველო საწარმო, № 1 დანართის თანახმად.

2. დამტკიცდეს ახალ სისტემაზე გადაყვანილ სამრეწველო საწარმოთა ეკონომიური სტიმულირების ფონდებში მოგების ანარიცხების დარგობრივი ნორმატივები, № 2 დანართის თანახმად.

3. დაუწესდეს საწარმოო ფონდების საფასურის ნორმა 6 საწარმოს სამი პროცენტის რაოდენობით, 3 საწარმოს — ორი პროცენტის რაოდენობით და განთავისუფლდეს საწარმოო ფონდების საფასურისაგან 1968-1969 წლების განმავლობაში 13 სამრეწველო საწარმო ისე, რომ ამასთან დაკავშირებით არ შეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვალოს ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფო ბიუჯეტთან, № 3 დანართის თანახმად. დანარჩენ 60 სამრეწველო საწარმოს დაუწესდეს საწარმოო ფონდების საფასურის ნორმა, როგორც წესი, 6 პროცენტის რაოდენობით.

4. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ:

ა) მოიყვანოს ნორმატივების შესაბამისად ახალ სისტემაზე გადაყვანილი 82 საწარმოს საბრუნავი სახსრები, 1968 წლის 1 ივლისის მდგომარეობის მიხედვით;

ბ) ერთი კვირის ვადაში წარუდგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საჭირო გაანგარიშებანი შესაბამის ცვლილებათა შესატანად რესპუბლიკის შეჯამებულ გეგმებსა და ბიუჯეტში იმასთან დაკავშირებით, რომ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილმა საწარმოებმა იკისრეს დამატებითი ვალდებულებანი პროდუქციის გამოშვების, რეალიზაციისა და მოგების გადიდების შესახებ;

გ) უზრუნველყოს სწორი თანაფარდობა შრომის ნაყოფიერების და საშუალო ხელფასის ზრდის ტემპებისა, აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსამსახურეთა და მუშათა პრემიების ოდენობისა იმ საწარმოების მატერიალური წახალისების ფონდიდან, რომლებიც გადაყვანილი არიან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 15 ივლისი, № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 15 ივლისის № 372
დადგენილების დანართი № 1

ს ი ა

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოებისა, რომლებიც გადაყვანილი არიან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე 1968 წლის 1 ივლისიდან

I. შავი მეტალურგია

გუდაუთის მექანიკური ქარხანა

II. ქიმიური მრეწველობა

1. ცხინვალის ქიმიური ქარხანა
2. თბილისის პლასტმასის ნაკეთობათა ფაბრიკა
3. სოხუმის საგალანტერიო ფაბრიკა

III. მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება

1. თბილისის მექანიკური ქარხანა № 1
2. თბილისის მექანიკური ქარხანა № 2
3. თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა
4. თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხანა
5. გორის მექანიკური ქარხანა
6. თერჯოლის მექანიკური ქარხანა
7. ბათუმის მექანიკური ქარხანა
8. ბათუმის სამსხმელო-მექანიკური ქარხანა
9. ცხინვალის მექანიკური ქარხანა
10. სოხუმის სამსხმელო-მექანიკური ქარხანა
11. მახარაძის ფაიფურის ნაკეთობათა ქარხანა

IV. ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობა

1. სოხუმის საავეჯო ფაბრიკა
2. ბათუმის ხისდამმუშავებელი ქარხანა

V. საშენ მასალათა მრეწველობა

1. ლანჩხუთის საშენ მასალათა კომბინატი
2. სოხუმის საშენ მასალათა კომბინატი
3. ბათუმის საშენ მასალათა კომბინატი
4. ცხინვალის საშენ მასალათა კომბინატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ქსნის საშენ მასალათა კომბინატი
6. ტევრის საშენ მასალათა ქარხანა
7. საბურღ-აფეთქების სამუშაოთა კანტორა

VI. მსუბუქი მრეწველობა

1. თბილისის ხალიჩების ფაბრიკა
2. თბილისის საგალანტერიო ფაბრიკა
3. თბილისის სამრეწველო ნარჩენების გადამმუშავებელი ფაბრიკა № 1
4. თბილისის სამრეწველო ნარჩენების გადამმუშავებელი ფაბრიკა № 2
5. სოხუმის სამრეწველო ნარჩენების გადამმუშავებელი ფაბრიკა
6. გარდაბნის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა
7. საგარეჯოს მატყლგადამმუშავებელი ფაბრიკა
8. ვაზიანის სამკერვალო-საგალანტერიო ფაბრიკა
9. ბათუმის რეზინა-ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანა

VII. კვების მრეწველობა

ჯავის „ძაუს“ ჩამომსხმელი ქარხანა

VIII. მრეწველობის სხვა დარგები

1. თბილისის კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკა
2. თბილისის მექანიკური სათამაშოების ფაბრიკა
3. თბილისის საბავშვო სათამაშოების ფაბრიკა

IX. რაიონული (საქალაქო) სამრეწველო კომბინატები

გორის, ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდის საქალაქო სამრეწველო კომბინატები.

აბაშის, ადიგენის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, ბორჯომის, ვანის, გარდაბნის, გორის, გეგეჭკორის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, კასპის, ქარელის, ყვარლის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მარნეულის, მესტიის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, საჩხერის, სიღნაღის, თელავის, თერჯოლის, თეთრიწყაროს, თიანეთის, ხაშურის, ხობის, წყალტუბოს, წულუკიძის, წითელწყაროს, ცხაკაიას, გაგრის, ჩოხატაურის, ოჩამჩირის, გუდაუთის, ქობულეთის რაიონული სამრეწველო კომბინატები.

სულ 9 დარგი — 82 საწარმო.

შენიშვნა: დანარჩენი 7 საწარმო მეურნეობის ახალ სისტემაზე გადაყვანილი იყო 1967 წელს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

საქართველოს სსრ
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 15 ივლისის № 372
დადგენილების დანართი № 2

ამოსავალი ნორმები და დარგობრივი ნორმატივები მოგების ანარიცხებისა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოების ეკონომიური სტიმულირების ფონდებში

(პროცენტულად)

დარგები	მატერიალური სტიმულირების ფონდი			სოციალურ-კულტურული ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდი			წარმოების განვითარების ფონდი		
	ამოსავალი ნორმა	რეალიზაციის ზრდის ყოველ პროცენტში	რენტაბელობის დონისათვის	ამოსავალი ნორმა	რეალიზაციის ზრდის ყოველ პროცენტში	რენტაბელობის დონისათვის	ამოსავალი ნორმა	რეალიზაციის ზრდის ყოველ პროცენტში	რენტაბელობის დონისათვის
შავი მეტალურგია	9.55	0.286	1,966	4.0	0.120	0.824	3.0	0.090	0.618
ქიმიური მრეწველობა	10.0	0,300	0,142	4,0	0,120	0.057	3.0	0.090	0.043
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	9.55	0.286	0.196	4.0	0.120	0,082	3.0	0,090	0.062
ხე-ტყის და ხისდამმუშავებელი მრეწველობა	8,8	0,264	3,242	4.0	0,120	1,474	3,0	0,090	1.105
საშენ მასალათა მრეწველობა . . .	10.1	0.253	0.803	4.0	0.100	0,318	3.0	0,075	0.239
მსუბუქი მრეწველობა	9.6	0,222	0.092	4,0	0,092	0,038	3.0	0,069	0,029
კვების მრეწველობა	10,0	0.300	0,493	4.0	0,120	0,197	3.0	0.090	0.148
მრეწველობის სხვა დარგები . . .	8,8	0,240	0.197	4.0	0.109	0.090	3,0	0.082	0.067
რაიონული (საქალაქო) სამრეწველო კომბინატები	9.0	0,245	0.243	4.0	0.109	0,108	3.0	0.082	0,081
სულ სამინისტროს ხაზით	9,55	0,260	0,205	4.0	0,109	0,086	3,0	0.082	0.064

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

მუხანრავნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 15 ივლისის № 372
დადგენილების დანართი № 3

ს ი ა

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებისა, რომლებიც განთავისუფლებული არიან საწარმოო ფონდების საფასურისაგან და რომლებსაც დაუწესდათ საწარმოო ფონდების საფასურის შემცირებული ნორმატივები

ა. საწარმოები, რომლებისთვისაც გათვალისწინებულია ფონდების საფასურის ნორმა 3 პროცენტის რაოდენობით

1. ახალციხის რაიონული სამრეწველო კომბინატი
2. თელავის რაიონული სამრეწველო კომბინატი
3. ჩოხატაურის რაიონული სამრეწველო კომბინატი
4. ქობულეთის რაიონული სამრეწველო კომბინატი
5. თერჯოლის მექანიკური ქარხანა
6. ტევრის საშენ მასალათა კომბინატი

ბ. საწარმოები, რომლებისთვისაც გათვალისწინებულია ფონდების საფასურის ნორმა 2 პროცენტის რაოდენობით

1. ცხინვალის საშენ მასალათა კომბინატი
2. ჯავის მინერალური წყლის „ძაუს“ ჩამომსხმელი ქარხანა
3. თბილისის კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკა

გ. საწარმოები, რომლებიც განთავისუფლებული არიან ფონდების საფასურისაგან

1. ფოთის საქალაქო სამრეწველო კომბინატი
2. ზუგდიდის საქალაქო სამრეწველო კომბინატი
3. ადიგენის რაიონული სამრეწველო კომბინატი
4. ახალქალაქის რაიონული სამრეწველო კომბინატი
5. დუშეთის რაიონული სამრეწველო კომბინატი
6. ყვარლის რაიონული სამრეწველო კომბინატი
7. წულუკიძის რაიონული სამრეწველო კომბინატი
8. გუდაუთის მექანიკური ქარხანა
9. მახარაძის ფაიფურის ნაკეთობათა ქარხანა
10. სოხუმის საავეჯო ფაბრიკა
11. ბათუმის ხისდამუშავებელი ქარხანა
12. ლანჩხუთის საშენ მასალათა კომბინატი
13. ქსნის საშენ მასალათა კომბინატი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

57 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 მაისის № 292 დადგენილების გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 27 მაისის № 379 დადგენილებისა „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ სსრ კავშირის კანონთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების თაობაზე“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 მაისის № 292 დადგენილება „საშუალო სკოლებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა წვევამდელი სამხედრო მომზადების გაუქმების შესახებ“.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 27 მაისის № 379 დადგენილებით გაუქმებულია პუნქტი 3 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 9 ივლისის № 924 დადგენილებისა „საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ სასწავლებელში აღდგენის ვადის ნაწილში. ეს დადგენილება დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 21 ივლისის № 936 განკარგულებასთან ერთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 19 ივლისი, № 375.

58 მრავალწლოვანი და ერთწლოვანი საკვები ბალახების ელიტური და რეპროდუქციული თესლის შესასყიდი და გასაცემი ფასების დაწესების შესახებ

მრავალწლოვანი და ერთწლოვანი საკვები ბალახების ელიტური და რეპროდუქციული თესლის წარმოების გადიდების სტიმულირების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1968 წლის მოსავლიდან დაწყებული, მრავალწლოვანი და ერთწლოვანი საკვები ბალახების ელიტური და რეპროდუქციული თესლის შესასყიდ და გასაცემ ფასებზე, რომლებიც დადგენილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 17 ნოემბრის № 683 დადგენილებით, დაწესდეს ფულადი დანამატი შემდეგი ოდენობით: ელიტური თესლისათვის — 50 პროცენტი, პირველი და მეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე რეპროდუქციის თესლისათვის — 20 პროცენტი, მესამე და შემდგომი რეპროდუქციის თესლისათვის — 10 პროცენტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 29 ივლისი, № 395.

59 საქართველოს სსრ სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

ა) ერთი თვის ვადაში განიხილონ ქვესაუწყებო სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციათა სტრუქტურის გაუმჯობესების საკითხი მათი სპეციალიზაციის გათვალისწინებით, ხოლო მათთვის მიკუთვნებული კატეგორიები და ადმინისტრაციულ-სამმართველო და სახაზო პერსონალის (ჯგუფის) შტატები მტკიცედ შეუფარდონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 3 დეკემბრის № 821 დადგენილებით დაწესებულ ნორმატივებს;

ბ) განახორციელონ შენობათა და ნაგებობათა რემონტი შორეულ რაიონებში, სადაც ეკონომიურად მიზანშეწონილი არ არის მცირე სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების შენახვა, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „საქკომუნრემშენის“ ძალებით;

გ) მტკიცედ დაიცვან სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციათა ხელფასის ფონდის დაგეგმვის დადგენილი წესები, ამასთან არ დაუშვან ხელფასის იმ ფონდის გამოყენება ახალ მშენებლობაზე, რომელიც გამოყოფილია სარემონტო სამუშაოებისათვის;

დ) გააძლიერონ სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციათა საქმიანობის კონტროლი და მიიღონ ზომები სათანადო წესრიგის დასამყარებლად სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეონ ტიპობრივი შტატების უცილობლივ დაცვას, მატერიალური რესურსებისა და ფულადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახსრების რაციონალურად ხარჯვას, საშენი მასალების სწორად ჩამოწერას, სამუშაოთა მოცულობის წამატების აღკვეთას.

2. იმ მიზნით, რომ მოწესრიგდეს სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციათა სამუშაოები, გაუმჯობესდეს მათი საქმიანობისადმი კონტროლი, რაციონალურად იქნას გამოყენებული სამშენებლო ტექნიკა, მატერიალური და შრომითი რესურსები, აგრეთვე რომ გამარტივდეს მათი სტრუქტურა, — მოხდეს სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების რეორგანიზაცია:

ა) მიზანშეუწონლად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს არსებობა სამი კანტორის — თბილისის, გორის, ქუთაისის კანტორების და მახარაძის უბნის შემადგენლობით, რომელთაც არ გააჩნიათ სამუშაოთა საკმაო მოცულობა. მოეწყოს ამ სამმართველოს ნაცვლად ორი სარემონტო-სამშენებლო სამმართველო — თითო სამმართველო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, ადგილსამყოფელით ქალაქ თბილისსა და ქუთაისში და ეს სამმართველოები უშუალოდ დაუმორჩილდეს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს. სარემონტო-სამშენებლო სამმართველოებმა სამუშაოები შეასრულონ მხოლოდ თავიანთ ობიექტებზე;

ბ) აეკრძალოს 1969 წლიდან საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს არასავაჭრო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა და დაეკისროს მას საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის საწარმოების, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სასაწყობო ბაზების, საცავებისა და მაცივრების მშენებლობა, აგრეთვე მაღაზიების გაწყობა საცხოვრებელი სახლების დარაბებში და ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების რემონტი;

გ) აეკრძალოს საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის სარემონტო-სამშენებლო კანტორას მისთვის შეუფერებელი პროფილის სამუშაოთა წარმოება გარეშე ორგანიზაციებისათვის; ამ კანტორამ სპეციალურად აწარმოოს მხოლოდ და მხოლოდ სპორტულ ნაგებობათა რემონტი და მშენებლობა. კანტორის საშტატო განრიგი შეუფარდოს სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა გეგმას;

დ) თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო კანტორამ განახორციელოს სამუშაოები მხოლოდ საკოლმეურნეო ბაზრებში;

ე) ლიკვიდირებულ იქნას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სარემონტო-სამშენებლო სამმართველო და ის სამუშაოები, რომლებსაც ეს სამმართველო ასრულებდა, დაეკისროს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „საქკომუნრენმშენს“, ამასთან შეიქმნას ამ ტრესტთან სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაცია.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ მოახდინონ ზემოაღნიშნული რეორგანიზაცია 1969 წლის 1 იანვრიდან და გადასცენ ლიკვიდირებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების ბალანსიდან გამსხვილებულ ორგანიზაციათა ბალანსზე ძირითადი ფონდები და მატერიალურ-შრომითი რესურსები 1969 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით.

3. ნება დაერთოს საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროების სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებს, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარემონტო-სამშენებლო ტრესტს და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს აწარმოონ 1969 წლის 1 იანვრიდან ახალი ობიექტების მშენებლობა სახელმწიფო და არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებით, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 300 ათას მანეთამდეა.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „საქკომუნრენმშენმა“ განაგრძოს, როგორც გამონაკლისი, მაიაკოვსკისა და გარდაბნის რაიონულ ცენტრებში 300 ათას მანეთზე მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების წყალსადენის მშენებლობის სამუშაოები.

4. მიღებულ იქნას ცნობად, რომ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილა რესპუბლიკის სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაობის საკითხი და სასჯელი დაადო იმ პირებს, რომლებმაც დაუშვეს საშტატო დისციპლინის დარღვევა, მატერიალური რესურსებისა და ფულადი სახსრების არამომჭირნეობით ხარჯვა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 1 აგვისტო, № 410.

60 კარანტინის ადგილებიდან მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე გამოყვანილი სარგავი და სანამყენე მასალის გატანის აკრძალვის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ მიუხედავად ჩატარებული საკარანტინო ღონისძიებებისა, საკოლმეურნეო ბაზრებსა და სხვა სავაჭრო ადგილებში კვლავ გრძელდება საკარანტინო მავნებლებით დაავადებული ხეხილის ნერგებით ვაჭრობა, ნერგების გაყიდვა სათანადო დოკუმენტაციის გარეშე (ჯიშიანობის მოწმობა, საკარანტინო სერტიფიკატები და სხვ.).

თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე გამოყვანილი დაავადებული ნერგები კერძო პირებს ზოგჯერ გააქვთ სარეალიზაციოდ აგრეთვე სხვა რესპუბლიკების ბაზრებსა და სოფლებში, რითაც ავრცელებენ საკარანტინო მავნებლებს და დიდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატერიალურ ზიანს აყენებენ სახელმწიფოს, ამასთან, დამნაშავენი მკაცრად არ ისჯებიან.

იმ მიზნით, რომ აღიკვეთოს საკარმიდამო ნაკვეთებზე გამოყვანილი ნერგებით საკარანტინო მავნებლების გავრცელება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აიკრძალოს მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე გამოყვანილი სარგავი და სანამყენე მასალის გატანა იმ ადგილებიდან, სადაც გამოცხადებულია კარანტინი.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უზრუნველყოს სახელმწიფო მეურნეობებში სარგავი და სანამყენე მასალის საჭირო რაოდენობით გამოყვანა და მისი მიყიდვა მოსახლეობისათვის.

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც დასახულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 29 დეკემბრის № 761 დადგენილებით „საკოლმეურნეო ბაზრებში ხეხილის ნერგებით ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ“.

4. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველომ და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ არ დაუშვან საკარანტინო ნებართვის (სერტიფიკატის) გარეშე სარგავი და სანამყენე მასალის გადაზიდვა.

5. საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ გააძლიეროს კონტროლი ამ დადგენილების პირველი პუნქტის შესრულებისადმი.

6. საქართველოს სსრ მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექციამ გააძლიეროს კონტროლი და უზრუნველყოს საკარანტინო წესების დაცვა, დროულად აცნობოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველოს და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს იმ რაიონებისა და ადგილების სია, სადაც გამოცხადებულია კარანტინი.

7. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებს და საქართველოს სსრ მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექციას მკაცრი მეთვალყურეობა გაუწიონ საკარმიდამო ნაკვეთებზე მცენარეთა მავნებლების და დაავადებათა საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებათა სრულად და დროულად გატარებას; მიიღონ გადამჭრელი ზომები საკარანტინო მავნებლებისა და დაავადებათა კერების ლოკალიზაციისა და მოსპობისათვის.

8. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულე-

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

ბის პროექტი მცენარეთა საკარანტინო წესების დამრღვევ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ და წარედგინოს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

9. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს რაიონულ და საქალაქო გაზეთებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 1 აგვისტო, № 413.

61 საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების იურიდიული მომსახურების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში უკანასკნელი წლების მანძილზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 11 ივნისის № 379 დადგენილების შესაბამისად, საგრძნობლად გაუმჯობესდა იურიდიული მომსახურების საქმე, მაგრამ ამ მხრივ, როგორც კოლმეურნეობებში, ისე საბჭოთა მეურნეობებში, მდგომარეობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია, ამის შედეგად ადგილი აქვს სოციალისტური კანონიერების დარღვევის მრავალ ფაქტს და დიდ დებიტორულ დავალიანებებს, განსაკუთრებით კოლმეურნეობებში.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იურიდიული მომსახურების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და საბჭოთა კანონიერების განუხრელად გატარების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უზრუნველყოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების იურიდიული მომსახურების სწორი ორგანიზაცია.

არსებული შტატებისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში შექმნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში იურიდიული განყოფილება, რომელსაც დაეკისროს რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იურიდიული სამსახურისადმი პრაქტიკული დახმარების გაწევა, მეთოდური ხელმძღვანელობა და კონტროლი.

2. სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოებში შეიქმნას 1-3 მუშაკისაგან შემდგარი იურიდიული ჯგუფები, საწარმოო სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანაბარი ხელფასით, რომელთა ძირითადი დანიშნულება იქნება კოლმეურნეობებში იურიდიული მომსახურების ხელმძღვანელობა, პრაქტიკული დახმარება და კონტროლი.

იურიდიული ჯგუფების შესანახი ხარჯები გაწეულ იქნას კოლმეურნეობების ანგარიშში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს ჩაურიცხონ სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებს სპეციალურ ანგარიშზე იურიდიული ჯგუფების შესანახი ხარჯები.

3. საბჭოთა მეურნეობებმა განიხილონ იურიდიული მომსახურების საკითხი და საჭიროების შემთხვევაში იყოლიონ შტატის იურისკონსულტები, არსებული შტატისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

4. რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს, რომელთაც მუშაობის დიდი მოცულობა აქვთ, აიყვანონ მუდმივ შტატში იურისკონსულტები, ხოლო იმ კოლმეურნეობებს, რომელთაც თავის შტატში არ ეყოლებათ იურისკონსულტები, — დადონ ადვოკატთა კოლეგიის იურიდიულ კონსულტაციებთან ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გასაწევად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს უფასო იურიდიული მომსახურება გაუწიოს რესპუბლიკის ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობებს, სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოების მიერ წარდგენილი სიის მიხედვით.

6. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომს, რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს მკაცრი კონტროლი გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საკოლმეურნეო დემოკრატიისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის საქმეში. საზოგადოებრივი აქტივის ფართო მონაწილეობით პერიოდულად განიხილონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოციალისტური საკუთრების დაცვის საკითხები.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოებს და საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს გააძლიერონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოციალისტური კანონმდებლობის პროპაგანდა ლექციების, მოხსენებების, საუბრებისა და კონსულტაციების ჩატარების მეშვეობით.

8. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორატმა სასწავლო გეგმის დაზუსტების დროს გაითვალისწინონ საბჭოთა სამართლის საფუძვლების შესწავლა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტზე და მეურნეობა-ტექნიკუმებში.

9. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მთავარი ბუღალტრებისა და სხვა საანგარიშო დარგის მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებლად პროგრამის შედგენის დროს ყოველწლიურად გაითვალისწინოს საათების აუცილებელი რაოდენობა, სამოქალაქო, მიწის, საკოლმეურნეო შრომის და ადმინისტრაციული სამართლის ძირითად საკითხებში მათი თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებისათვის და სასამართლოებსა და არბიტრაჟში საქმის წარმართვის წესების შესასწავლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების დროს გაითვალისწინოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განაცხადი იურისტებზე, მათი სპეციალობის მიხედვით გამოსაყენებლად სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

11. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 11 ივნისის № 379 დადგენილება „საქართველოს სსრ კოლმეურნეობების იურიდიული მომსახურების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 1 აგვისტო, № 414.

62 საქართველოს სს რესპუბლიკაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების რესპუბლიკური კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხობის რესპუბლიკური კომისიის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 13 ივლისის № 477 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 7 აგვისტო, № 430.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 7 აგვისტოს № 430
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სს რესპუბლიკაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხობის რესპუბლიკური კომისიის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სს რესპუბლიკაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხობის რესპუბლიკური კომისია შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 26 იანვრის № 46 დადგენილებით.

შესაბამის კომისიებს შექმნიან აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი.

2. კომისიაში შედიან საავტომობილო ტრანსპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მშენებლობის, კომუნალური მეურნეობის რესპუბლიკური სამინისტროების (სამმართველოების, უწყებების, ტრესტების), სახმშენის, ამიერკავკასიის რკინიგზის, სახალხო კონტროლის ორგანოების, საგზაო ორგანოების, რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის, პრესის, კინემატოგრაფიის, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობა ნებაყოფლობითი საზოგადოების, ცეკავშირის, დედაქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის და იმ სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რომელთა საქმიანობას შეუძლია ხელი შეუწყოს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხობას.

3. საგზაო მოძრაობის უსაფრთხობის რესპუბლიკური კომისია მუშაობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ხელმძღვანელობით და ანგარიშვალდებულია რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინაშე.

4. საგზაო მოძრაობის უსაფრთხობის რესპუბლიკური კომისიის ძირითადი ამოცანაა ამ დებულების მე-2 პუნქტში მოხსენებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაცია, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავება და მათი განხორციელებისადმი კონტროლი.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 26 იანვრის № 46 დადგენილების I პუნქტის შესაბამისად, მოძრაობის უსაფრთხობის რესპუბლიკურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიას აგრეთვე ეკისრება გადასასვლელების მდგომარეობის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის ფუნქციები, საავტომობილო ტრანსპორტისა და სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის მოძრაობის უსაფრთხობის შემდგომი გაძლიერების მიზნით.

II. კომისიის უფლება-მოვალეობანი

6. საგზაო მოძრაობის უსაფრთხობის რესპუბლიკურ კომისიას, თავისი ამოცანების შესაბამისად, ეკისრება:

წინადადებების მომზადება ქალაქების, დასახლებული პუნქტების ქუჩებში და საავტომობილო გზებზე ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხობის შესახებ;

დასკვნების მომზადება იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხობასთან და რომლებიც შეტანილ უნდა იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად;

დადგენილებათა, განკარგულებათა, გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით, საგზაო მოძრაობის უსაფრთხობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

იმისადმი კონტროლი, თუ როგორ ასრულებენ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, სამინისტროები, უწყებები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ზემდგომი ორგანოების დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებს და საგზაო მოძრაობის უსაფრთხობის საკითხების კომისიების დავალებებს.

7. საგზაო მოძრაობის უსაფრთხობის რესპუბლიკურ კომისიას უფლება ენიჭება:

მიიღოს საჭირო შემთხვევებში სამინისტროებისა, უწყებებისა, ორგანიზაციებისა, დაწესებულებებისა და სასწავლებლებისაგან დასკვნები იმ წინადადებათა გამო, რომელთა შემუშავებას ეწევა კომისია ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხობისათვის;

მოიწვიოს კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ან კონსულტაციისათვის სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სპეციალისტები;

პერიოდულად მოისმინოს სამინისტროების, უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა ანგარიშები ავტომოტორანსპორტზე ავარიულობის მდგომარეობისა და იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მიღებულია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილებისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

63 „საქართველოს სსრ წარჩინებული რაზმელის“ სამკერდე ნიშნის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს „საქართველოს სსრ წარჩინებული რაზმელის“ სამკერდე ნიშანი.

2. დამტკიცდეს დებულება „საქართველოს სსრ წარჩინებული რაზმელის“ ნიშნის შესახებ და ნიშნის აღწერილობა, №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

3. გამოეყოს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სარეზერვო ფონდიდან 7 ათასი მანეთი „საქართველოს სსრ წარჩინებული რაზმელის“ საჭირო რაოდენობის სამკერდე ნიშნებისა და მათი ტარების უფლების მოწმობების დასამზადებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 9 აგვისტო, № 433.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 9 აგვისტოს № 433
დადგენილებით

დებულება

„საქართველოს სსრ წარჩინებული რაზმელის“ სამკერდე ნიშნის შესახებ

1. „საქართველოს სსრ წარჩინებული რაზმელის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდებიან ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების წევრები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დანაშაულებრიობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

2. „საქართველოს სსრ წარჩინებული რაზმელის“ საპატიო ნიშნით დააჯილდოვებენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და საქართველოს სსრ რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები.

„საქართველოს სსრ წარჩინებული რაზმელის“ ნიშნით დაჯილდოების შესახებ შუამდგომლობის აღძვრა შეუძლიათ პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, აგრეთვე ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რაიონულ-საქალაქო შტაბებს და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებს შესაბამისი პარტიული ორგანოების თანხმობით.

3. „საქართველოს სსრ წარჩინებული რაზმელის“ ნიშნით დაჯილდოებულ პირებს მიეცემათ დაწესებული ნიმუშის სამკერდე ნიშანი და მოწმობა დაჯილდოების შესახებ. დაჯილდოებულმა ნიშანი უნდა ატაროს მკერდის მარჯვენა მხარეზე.

4. „საქართველოს სსრ წარჩინებული რაზმელის“ სამკერდე ნიშნის გადაცემა ხდება საზეიმო ვითარებაში, რაზმელთა შეკრებაზე ან კოლექტივის საერთო კრებაზე, დაჯილდოებულთა მუშაობის ადგილის მიხედვით.

5. „საქართველოს სსრ წარჩინებული რაზმელის“ სამკერდე ნიშნის ჩამორთმევა შეუძლიათ მხოლოდ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 14

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 9 აგვისტოს № 433
დადგენილებით

აღწერილობა

„საქართველოს სსრ წარჩინებული რაზმელის“ სამკერდე ნიშნისა

„საქართველოს სსრ წარჩინებული რაზმელის“ სამკერდე ნიშანს აქვს ხუთკუთხედის ფორმა, რომლის კიდეები დაფარულია თეთრი მინანქრით და განლაგებულია სიტყვები „საქართველოს სსრ წარჩინებული რაზმელი“.

ნიშნის ცენტრალურ ნაწილს აქვს ცისფერი მინანქრით დაფარული ფარის ფორმა. ფარის შუაგულში გამოსახულია გადაჯვარედინებული ნამგალი და ურო და ვარსკვლავი, რომლებიც აფრქვევენ ლალისფერ-წითელი მინანაქრით დაფარულ სხივებს. ნიშნის მარჯვენა მხარეზე გამოსახულია ჩირაღდანი, რომლის ალი ფარავს ნიშნის ზემო ნაწილს. ალის გამოსახულება დაფარულია წითელი მინანქრით.

ნიშნის ზომა: სიმაღლეზე — 32 მმ და სიგანაზე — 27 მმ.
ნიშანი მიემაგრება ტანსაცმელს შტივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

64 ხელფასის მინიმალური ოდენობის თვეში 60 მანეთამდე გადიდებასთან დაკავშირებით კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ამაღლების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ მუშა-მოსამსახურეებს დაუწესდათ სატარიფო სარგო და განაკვეთები თვეში არანაკლებ 60 მანეთისა და ცალკეული კატეგორიის მუშაკებს გაუდიდდათ სარგო და განაკვეთები თვეში 70 მანეთამდე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. რჩევა მიეცეთ რენტაბელურ კოლმეურნეობებს, თუ მეურნეობაში მოიპოვება შესაბამისი ეკონომიური საშუალებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლმეურნეებისათვის შრომის გარანტირებული საზღაურის მიცემას ახალი სატარიფო სარგოსა და თანამდებობრივი განაკვეთების მიხედვით და საზოგადოებრივი ფონდის იმავდროულად შევსებას საჭირო რაოდენობით, ისე, რომ არ იქნას მოზიდული ამ მიზნებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გრძელვადიანი კრედიტი, — გამოიყენონ გადიდებული სატარიფო სარგო და თანამდებობრივი განაკვეთები, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 20 ნოემბრის № 511/II-28 დადგენილებით.

2. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა და სოფლის მეურნეობის რაიონულმა საწარმოო სამმართველოებმა აცნობონ შესაბამის მეურნეობებს მათთვის დაგზავნილი ახალი სატარიფო სარგო და თანამდებობრივი განაკვეთები, რომლებიც დაწესებულია სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის.

3. სოფლის მეურნეობის რაიონულმა საწარმოო სამმართველოებმა წარუდგინონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმ კოლმეურნეობათა სია, რომლებშიაც გამოყენებული იქნება შრომის გადიდებული საზღაური.

4. რჩევა მიეცეთ ეკონომიურად ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს დააწესონ კოლმეურნეთა შრომის ასანაზღაურებლად, ეკონომიურ შესაძლებლობათა და შრომის ასანაზღაურებლად მიღებული გრძელვადიანი კრედიტის თანხის საფუძველზე, სატარიფო სარგო და თანამდებობრივი განაკვეთები, შესაბამისად შემცირებული საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების რეკომენდაციებით გათვალისწინებულთან შედარებით.

5. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რესპუბლიკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოებს მიმდინარე წლის დამლევამდე შეიმუშაონ ადგილზე თვითეული ეკონომიურად ჩამორჩენილი კოლმეურნეობისათვის ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ უახლოეს წლებში მისი ეკონომიკის აღმავლობას, საერთო შემოსავლის გადიდებას და კოლმეურნეთა შრომის სრული გარანტირებული ანაზღაურების თანდათანობით განხორციელებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეიმუშაოს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების რეკომენდაციების დამატებანი და ცვლილებანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 12 აგვისტო, № 434.

65 საქართველოს სს რესპუბლიკაში წიგნის მუდმივმოქმედი ლატარიის ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს 1969 წლიდან ჩაატაროს საქართველოს სს რესპუბლიკაში წიგნის მუდმივმოქმედი ლატარია.

2. დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში წიგნის მუდმივმოქმედი ლატარიის პირობები, დანართის თანახმად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს:

ა) დაამტკიცოს ლატარიის ბილეთის ნიმუში;

ბ) გაანაწილოს ლატარიის ბილეთები რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მიხედვით და უზრუნველყოს მათი დროული დაგზავნა ადგილებზე;

გ) გამოსცეს სააგიტაციო-სარეკლამო მასალები, ფართო ინფორმაცია გაუწიოს მოსახლეობას ლატარიის შესახებ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით;

დ) საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციასთან შეთანხმებით წიგნის მუდმივმოქმედი ლატარიის ჩასატარებლად გამოსცეს ინსტრუქცია ოპერაციების შესრულებისა და აღრიცხვიანობის წესის შესახებ;

4. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს ლატარიის ჩატარების ხარჯების დასაფარავად გამოიყენოს გაყიდული ლატარიის ბილეთების თანხის 10 პროცენტამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაევალოს აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ ლატარიის ორგანიზებული ჩატარება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 12 აგვისტო, № 437.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 12 აგვისტოს № 437
დადგენილებით

მუდმივმოქმედი წიგნის ლატარიის პირობები

რესპუბლიკური წიგნის მუდმივმოქმედი ლატარია ტარდება მოსახლეობაში წიგნადი, სახვითი, ფილატელისტური და სხვა სახის ბეჭდვითი პროდუქციის პროპაგანდისა და ფართოდ გავრცელების მიზნით.

1. წიგნის მუდმივმოქმედი ლატარიის საერთო თანხა (პირველი გამოშვებისა) განისაზღვრება 1.000.000 მანეთით. გამოიშვება ამ თანხის 4.000.000 ბილეთი, თითოეული 25 კაპიკად ღირებული.

2. ლატარიის ყოველი გამოშვების მოგების საერთო თანხა შეადგენს 900.000 მანეთს, გამოშვებული ბილეთების თანხის 90%-ს.

3. ლატარიის ბილეთები იყოფა სერიებად, თითოეული გამოშვება შეიცავს 20.000 სერიას, თითოეული სერია შედგება 200 ბილეთისაგან.

4. ლატარიის პირველ გამოშვებაში გათამაშდება 1.000.000 მოგება, თანხით 900.000 მანეთი. ფულადი გამოხატულებით მოგებაა: მინიმალური 50 კაპიკი, მაქსიმალური 10 მანეთი. ყოველ 200 ბილეთზე მოდის 50 მოგება.

5. თითოეულ გამოშვებაშია მოგებათა შემდეგი რაოდენობა მათი ღირებულების მიხედვით:

მოგების ოდენობა	რაოდენობა	თანხა მანეთობით
50 კაპიკი	800.000	400.000
2 მანეთი	140 000	140.000
3 მანეთი	20.000	60.000
5 მანეთი	20 000	100.000
10 მანეთი	20.000	200.000
სულ . . .	1.000.000	900.000

მომგებიანი და არამომგებიანი ბილეთების გაშლასა და ერთმანეთში არევას ახდენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული კომისია, რომელც ამ სამუშაოს ასრულებს მკაცრი საიდუმლოებით.

6. წიგნის მუდმივმოქმედი ლატარიის ბილეთების ვაყიდვას აწარმოებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის სისტემისა და ცეკავშირის წიგნის მაღაზიები და კიოსკები, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ნებართვით — რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სხვა სამინისტროებისა და უწყებების წიგნის მაღაზიები და კიოსკები; წიგნის დამტარებლები და მოწვეული პირები, რომლებსაც ნება ეძლევათ გაყიდონ ლატარიის ბილეთები წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლატარიის ბილეთების გაყიდვა წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სხვა მუშაკთა მიერ (გარდა რწმუნებული პირებისა) ნებადართული არ არის. აღნიშნული ორგანიზაციების მუშაკები ლატარიის ბილეთებს ჰყიდიან თავიანთი ძირითადი სამუშაოს შესრულებასთან ერთად.

7. იმ პირთა წასახალისებლად, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ლატარიის ჩატარებაში, დგება საპრემიო ფონდი გაყიდული ბილეთების საერთო თანხის 2%-ის ოდენობით.

8. ლატარიის ბილეთების გავრცელება წარმოებს ნებაყოფლობითი პრინციპის მკაცრი დაცვით, მოსახლეობაში ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობისა და ბილეთების გაყიდვის სწორი ორგანიზაციის საფუძველზე.

9. მოგებათა განაღდებას რესპუბლიკის წიგნის მუდმივმოქმედი ლატარიის მიხედვით აწარმოებენ წიგნის მაღაზიები, სადაც იყიდება ლატარიის ბილეთები. მოგებათა ანაზღაურება შეიძლება წიგნებითა და წიგნის მაღაზიაში სახეზე არსებული ასორტიმენტის სხვა საქონლითაც, რომელთაც შეარჩევს მომგებიანი ბილეთის პატრონი (ბროშურებით, ალბომებით, დამხმარე სახელმძღვანელოებითა და თვალსაჩინო ხელსაწყოებით, ჩარჩოიანი სურათებით, რეპროდუქციებით, ესტამპებით, ღია ბარათებით, ღია ბარათების ალბომებით, საკოლექციო მარკებითა და სხვა საქონლით), ამასთან, მოგების შეცვლა ფულით, მთლიანად, ან თუნდაც ნაწილობრივ, ნებადართული არ არის.

თუ მომგებიანი ბილეთის პატრონის მიერ შერჩეული წიგნებისა და სხვა საქონლის ღირებულება აღემატება მოგების თანხას, დამატებითი თანხის გადახდა ხდება ნაღდი ფულით.

10. ლატარიის ბილეთის წარდგენა მოგების გასანაღდებლად შეიძლება ბილეთზე აღნიშნულ დროში. ამ ვადის შემდეგ ლატარიის ბილეთი ძალას კარგავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

66 საქართველოს საზღვაო ნაოსნობის ახალი ტანკერისათვის ნ. ბარათაშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ

გამოჩენილი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიეკუთვნოს საქართველოს საზღვაო ნაოსნობის ახალ ტანკერს ნ. ბარათაშვილის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 13 აგვისტო, № 440.

67 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 2 აგვისტოს № 928 დადგენილების გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 10 ივლისის № 534 დადგენილებისა „სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 26 აგვისტოს № 822 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 2 აგვისტოს № 928 დადგენილება „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო კოოპერაციის და ინვალიდთა კოოპერაციის საწარმოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 14 აგვისტო, № 441.

ეროვნული ბიბლიოთეკა

68 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 თებერვლის № 87 დადგენილების I პუნქტის მოქმედების ვადის 1968—1970 წლებისათვის გაგრძელების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

გაგრძელდეს 1968—1970 წლებისათვის მოქმედების ვადა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 თებერვლის № 87 დადგენილებისა (პუნქტი I) „იმის შესახებ, რომ განთავისუფლდნენ 1967 წელს საქართველოს სსრ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციები ადგილობრივი საბჭოებისათვის საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემისაგან და რომ შემკვეთებმა გადასცენ საცხოვრებელი ფართობი საქართველოს სსრ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 14 აგვისტო, № 442.

69 მუშა-მოსამსახურეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი პირადი დაზღვევის შენატანების უნაღდო ანგარიშსწორების წესით გადახდის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 30 აპრილის № 292 დადგენილება „მუშა-მოსამსახურეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი პირადი დაზღვევის შენატანების უნაღდო ანგარიშსწორების წესით გადახდის შესახებ“ დაეგზავნოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს და დაევალოთ მათ:

გააცნონ ქვესაუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 30 აპრილის № 292 დადგენილების შინაარსი და თვალყური ადევნონ მის სწორად გამოყენებას.

ჩაატარონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარ სამმართველოს ორგანოებთან ერთად საჭირო მოსამზადებელი მუშაობა საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში იმ ანგარიშით, რომ შემოღებულ იქნას სადაზღვევო შენატანების გადახდის ახალი წესი 1969 წლის 1 იანვრიდან.

ქმედითი დახმარება გაუწიონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარ სამმართველოს ორგანოებს იმ მხრივ, რომ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილეობა მიიღონ მუშებმა და მოსამსახურეებმა სიცოცხლის ნებაყოფლობითს დაზღვევაში.

ფართოდ განუმარტონ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომ პირადი დაზღვევა საშუალებას აძლევს მშრომელებს მიიღონ დამატებითი მატერიალური დახმარება, როდესაც მათს ცხოვრებაში ადგილი ექნება პირადი დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვლენებს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს:

ორი თვის ვადაში ჩაატაროს დაზღვევის დარგის ყველა მუშაკის სემინარები იმ ნორმატიული დოკუმენტების შესასწავლად, რომლებიც განსაზღვრავენ მუშა-მოსამსახურეთა მიერ უნაღდო ანგარიშსწორების წესით სადაზღვევო შენატანების გადახდისას პირადი დაზღვევის ჩატარების და საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების არასაშტატო სადაზღვევო აგენტებისა და ბუღალტრების შრომის ანაზღაურების წესს.

იმავე ვადაში ჩაატაროს საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა არასაშტატო სადაზღვევო აგენტების, ბუღალტრების საინსტრუქციო თათბირები და სემინარები და განუმარტოს მათ სადაზღვევო შენატანების გადახდის ახალი წესი.

დასახოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც საჭიროა დაზღვეულთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ერთი დეკადის ვადაში მოამზადოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმს წარუდგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ პროფესიულმა ორგანიზაციებმა ფართო მონაწილეობა მიიღონ დაზღვეულთა მომსახურების გაუმჯობესებისა და მუშა-მოსამსახურეთა ნებაყოფლობითი დაზღვევის უფრო ფართოდ განვითარების საქმეში.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა რადიო და ტელეგადაცემებით სისტემატურად გააშუქოს პირადი დაზღვევის განვითარებისა და სარგებლიანობის საკითხი, აგრეთვე ის უპირატესობანი, რომლებსაც სახდაზღვევასთან უნაღდო ანგარიშსწორება ანიჭებს მუშებსა და მოსამსახურეებს.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს მუშა-მოსამსახურეთა პირადი დაზღვევის იმ სამხატვრო-ტექსტობრივი და სხვა სარეკლამო მასალების დაბეჭდვა, რომლებიც წარდგენილია საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს მიერ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. **თბილ**ისი, 1968 წ. 21 აგვისტო, № 461.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დადგენილება № 292

1968 წლის 30 აპრილი

მოსკოვი, კრემლი

მუშა-მოსამსახურეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი პირადი დაზღვევის შენატანების უნაღდო ანგარიშსწორების წესით გადახდის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს წინადადება იმის შესახებ რომ საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა შეასრულონ მუშათა და მოსამსახურეთა წერილობითი დავალებანი და გადარიცხონ სსრ კავშირის სახდაზღვევის ორგანოების ანგარიშებზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში მათი ხვედრი ხელფასიდან სადაზღვევო შენატანები პირადი დაზღვევის ხელშეკრულებებით.

2. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით დაადგინოს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ მუშა-მოსამსახურეთა იმ დავალებების შესრულების წესი, რომლებიც აღნიშნულია ამ დადგენილების I პუნქტში, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების იმ არასაშტატო სადაზღვევო აგენტებისა და ბუღალტერიების მუშაკთა შრომის ანაზღაურების წესი, რომლებიც ამ დავალებებს ასრულებენ. ამასთან პროცენტული გასამრჯელოს განაკვეთები არასაშტატო სადაზღვევო აგენტებისა და ბუღალტერიების მუშაკებისათვის უნდა დაწესდეს იმ ანგარიშით, რომ მათი საერთო რაოდენობა არ აღემატებოდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 12 სექტემბრის № 836 დადგენილების I პუნქტით გათვალისწინებულ განაკვეთებს.

3. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ, რომ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებმა შემდგომ გააუმჯობესონ დაზღვეულ მუშათა და მოსამსახურეთა მომსახურება და ამ საფუძველზე უფრო ფართოდ განავითარონ ნებაყოფლობითი დაზღვევა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

70 საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს არასრულწლოვანთა შრომითს კოლონიებთან არსებული საზოგადოებრიობის საბჭოების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს არასრულწლოვანთა შრომითს კოლონიებთან არსებული საზოგადოებრიობის საბჭოების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 29 აგვისტო, № 465.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 29 აგვისტოს № 465
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს არასრულწლოვანთა შრომითს კოლონიებთან არსებული საზოგადოებრიობის საბჭოების შესახებ

საზოგადოებრიობის საბჭოების ამოცანები და მათი ორგანიზაციის წესი

არასრულწლოვანთა შრომითს კოლონიებთან არსებული საზოგადოებრიობის საბჭოების მთავარი ამოცანაა მოაწყოს საშეფო მუშაობა, რათა დახმარება აღმოუჩინოს კოლონიების ადმინისტრაციას მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდაში.

ასრულებს რა მთავარ ამოცანას, შრომითს კოლონიებთან არსებული საზოგადოებრიობის საბჭო:

ა) შეათანხმებს და წარმართავს იმ სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სასწავლებლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას, რომლებსაც აღებული აქვთ შეფობა კოლონიაზე, მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის საქმეში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ხელს შეუწყობს მოზარდთა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური მომზადების უკეთ მოწყობას, მათს შრომითს აღზრდას, კოლონიის მატერიალური ბაზის განმტკიცებას და საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესებას;

გ) ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა იდეურ-პოლიტიკურ, ესთეტიკურ, ფიზიკურ და ზნეობრივ აღზრდას. დაეხმარება კოლონიის ადმინისტრაციას მოაწყობს აღსაზრდელთა შეხვედრა შრომის მოწინავეებთან, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებთან, სამხედრო მოსამსახურეებთან, აგრეთვე მოაწყოს ლექციები, საუბრები, კონცერტები, სპორტული შეჯიბრებები და სხვა ღონისძიებანი;

დ) დაეხმარება კოლონიის ადმინისტრაციას შექმნას აღსაზრდელთა მორალურად ჯანსაღი კოლექტივი, აამაღლოს მისი თვითმოქმედი ორგანიზაციების მუშაობის დონე, გაშალოს აღსაზრდელთა შორის შეჯიბრება მაღალმწარმოებლური შრომის და სანიმუშო ყოფაქცევის კოლექტივის წოდებისათვის, პროფესიის მიხედვით საუკეთესო მუშისა და საუკეთესო მოსწავლის წოდებისათვის;

ე) დახმარებას გაუწევს აღსაზრდელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნასა და მათი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფაში, დადგენილი ნორმატივებისა და წესების შესაბამისად;

ვ) მონაწილეობას მიიღებს კოლონიაში საზოგადოებრივი დათვალიერების მომზადებასა და ჩატარებაში;

ზ) მოიწვევს საშეფო ორგანიზაციების წარმომადგენლებს იმისათვის, რომ მათ იმუშაონ საზოგადოებრივ საწყისებზე აღმზრდელებად, ინსტრუქტორებად, სხვადასხვა წრეებისა და სპორტული სექციების ხელმძღვანელებად;

თ) მონაწილეობას მიიღებს აღსაზრდელთა მშობლებთან მუშაობაში, რისთვისაც დაამყარებს კავშირს მათთან, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მშობელთა მუშაობის ადგილის მიხედვით;

ი) დაამყარებს კავშირს დაწესებულებებთან და საწარმოებთან, სადაც კოლონიაში მოსვლამდე სწავლობდნენ ან მუშაობდნენ სამართალდამრღვევი არასრულწლოვანები, მონაწილეობას მიაღებინებს მათ მოზადრთა გამოსწორებასა და აღზრდაში;

კ) დახმარებას გაუწევს კოლონიიდან განთავისუფლებულ აღსაზრდელებს სამუშაოზე ან სასწავლებლად მოწყობაში და ამ მიზნით დაამყარებს კავშირს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებთან, მილიციის ორგანოებთან, კომკავშირულ ორგანიზაციებთან და მშობლებთან.

2. საზოგადოებრიობის საბჭოები შეიქმნება არასრულწლოვანთა შრომითი კოლონიების საშეფო პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების, სამრეწველო საწარმოების კოლექტივების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. საზოგადოებრიობის საბჭოს შემადგენლობაში მისი წევრის უფლებებით შედის არასრულწლოვანთა შრომითი კოლონიის უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლონიის ადმინისტრაციის რეკომენდაციით საზოგადოებრიობის საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნან აქტივისტები — აღსაზრდელთა მშობლები.

3. არასრულწლოვანთა შრომითს კოლონიასთან არსებულ საზოგადოებრიობის საბჭოს შემადგენლობას დაამტკიცებს რაიონის, ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი კოლონიის მდებარეობის ადგილზე, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს წარდგენით.

4. არასრულწლოვანთა შრომითს კოლონიასთან არსებული საზოგადოებრიობის საბჭო თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტიის მითითებებით მოზარდი თაობის აღზრდის შესახებ, არასრულწლოვანთა შესახებ მოქმედი კანონმდებლობით, არასრულწლოვანთა შრომითი კოლონიების დებულებით და ამ დებულებით.

5. საზოგადოებრიობის საბჭოს უფლება აქვს გაეცნოს არასრულწლოვანთა შრომითი კოლონიის საქმიანობის ყველა საკითხს და წარუდგინოს წინადადებანი მისი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ კოლონიის უფროსს, არასრულწლოვანთა საქმეების საქალაქო და რაიონულ კომისიებს, აგრეთვე საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს.

საზოგადოებრიობის საბჭოს წევრებს შეუძლიათ დაათვალიერონ არასრულწლოვანთა შრომითი კოლონია დღე-ღამის ყოველ დროს.

საზოგადოებრიობის საბჭოს მუშაობის ორგანიზაცია

6. საზოგადოებრიობის საბჭო თავისი შემადგენლობიდან აირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს. საზოგადოებრიობის საბჭოს თავმჯდომარე შედის შრომითი კოლონიის სასწავლო-აღმზრდელობითი საბჭოს შემადგენლობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით.

7. საზოგადოებრიობის საბჭო მუშაობს კოლონიის უფროსთან შეთანხმებული გეგმის მიხედვით.

8. საზოგადოებრიობის საბჭოს წევრებს შორის მოვალეობანი განაწილდება აღმზრდელობითი პროცესის ძირითად მიმართულებათა გათვალისწინებით (სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, მოზარდთა პროფესიულ-ტექნიკური სწავლება და შრომითი აღზრდა, შენახვის რეჟიმი, ჯანმრთელობის დაცვა და ფიზიკური აღზრდა, კოლონიის სამეურნეო საქმიანობა).

აღსაზრდელთა უფრო ღრმა ინდივიდუალური შესწავლისათვის საზოგადოებრიობის საბჭოს წევრები შეიძლება მიმაგრებულ იქნან აღსაზრდელთა კოლექტივის რაზმებსა და საზოგადოებრივ კომისიებზე.

9. საზოგადოებრიობის საბჭო თავისი მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, რომელმაც საზოგადოებრიობის საბჭოს შემადგენლობა დაამტკიცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4 1968 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
იურიდიული კომისია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/X-1968 წ. ქაღალდის ზომა 70×108,
ქაღალდი 16000, ნაბეჭდი თაბახი 4.0, სააღრიცხვო თაბახი 3,8.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

თარგმნილია რუსულიდან

ტირაჟი 4000 შეკვეთა 970

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

ეროვნული ბიბლიოთეკა
ინდეკსი — 76187